# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 ივლისი 2005 №171 (2494) ფასი 50 თეთრი


# იბერიის გაბრწყინება მომავლისთვის გადაიდო



# უეფას თასი 2005–2006

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ბანანიზმი!

თბილისი. 28 ივლისი. 19 საათი. მიხეილ მესხი. 2 000 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:2 ბანანცი (3:2)

0:1 ჰაკობიანი (26), 0:2 ხაჩატრიანი II (83)

ლოკომოტივი: შეყრილაძე, რ. ონიანი, გ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე, ქებაძე, კახელიშვილი, ინომოვი, ალავერდაშვილი (ჩივაძე 73), ფურთუხია (დ. ფოფხაძე 46), სირაძე (თავბერიძე 83). სათადარიგონი: ჩალაძე, სირბილაძე, გ. ყიფიანი, გაბელაია. მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ბანანცი: განიევი, სუშ (ხაჩატრიანი II 60), გრიგორიანი, სიმონიანი, არაქელიანი, ჯენებიანი, დვდნიკი, მელქონიანი (ყარაბახციანი 55), ჰაკობიანი, გუსილა, ხაჩატრიანი I (მარიამპეტიანი 71). სათადარიგონი: ივარდავა; დავთიანი, თადევოსიანი, გრიგორიანი. მწვრთნელი: ამლეტ ბარსეგიანი

გაფრთხილება: ჯენებიანი (14), ალავერდაშვილი (21), გ. ონიანი (35), ხაჩატრიანი II (88)

მსაჯები: მარიო სტრაჰონჯა; ჟელკო გრგიჩი, იგორ კრმარი; ივან ბებეკი (ყველა ხორვატია)

უეფას დელეგატი: სტანისლავ სპეჩიკი (პოლონეთი); უეფას ინსპექტორი: იოჰან შანჩიკი (ავსტრია)



კობა ინასარიძე

...ისე, „ლოკომოტივს" ბოლომდე მაინც არ გაუმართლა, სომხების მოლდოველი გუსილასი რა ვთქვით, თორემ ანგარიში 0:3 იქნებოდა და თამაშის დამთავრებამდე დარჩენილ ხუთ-ექვს წუთს ალარც თავად „ლოკომოტივი" ინერვიულებდა, ალარც ის „ბანანცი", რომლის სახელწოდებაც ქართულ კლუბს საშაყიროდ არ ჰყოფნიდა.

გუშინ „მიხეილ მესხზე" ორი ათასამდე ქომაგი შეიკრიბა და არ გაბრაზებულა, მოედანზე არაფერი ისროლა და არც ნამეტანი ბილწსიტყვაობა ყოფილა, ალბათ, „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის თხოვნა გაითვალისწინა, ერევანში სომხებმა თბილად გვიმასპინძლეს და სტუმრებს ნურც ჩვენ შევურაცხყოფთო. ხალხი ტრიბუნაზე თავისთვის, მშვიდად იჯდა და მასპინძლების შაყირით არ დაღლილა. არადა, რა ქომაგის საშაყირო „ლოკომოტივია"?! გუნდმა იომა, ითამაშა, მეტოქეს გასაქანი არ მისცა, მაგრამ, არ გაუმართლა. იქ მსაჯმა ჯარიმა არ დანიშნა, სტუმრების მეკარემ აულებელი აილო, იმას კოჭი გადაუბრუნდა, ცხელოდა, ვაკეში ქუჩები გადათხრილია და გუნდმა კომფორტულად ვერ იმგზავრა, მოკლედ...

რა მოხდა მერე, წააგო „ლოკომოტივმა", რომლის თავკაცმა ნოდარ აკობიამ თამაშამდეც კი თქვა, „ბანანცი" ძლიერი გუნდიაო და ეს ნამატჩევ პრესკონფერენციაზეც ხაზგასმით აღნიშნა, ხომ გეუბნებოდით, „ბანანცი" მაგარი გუნდიაო. რას ერჩი კაცს, იცოდა, რომ „ბანანცი" მაგარი იყო და ჩვენ როგორ არ დავიჯეროთ?! გვჯერა. ნამდვილად გვჯერა, რომ „ბანანცი" არაფერზე უფრო ძალლა დგას და ფეხბურთელები მოედანს ლაღად მაინც ემჩნეოდნენ... „ლოკომოტივმა" იკითხოს.





# დაანგრიე და აშენე

## კახა ცხადაძე: დაინახეთ დინამო

*თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში შინ დანიურ „ბრონდბიუსთან" 0:2 დამარცხდა და, ფაქტობრივად, უშანსოდ დარჩა — კოპენჰაგენში ორბურთიანი სხვაობის გაბათილება, დაგვეთანხმებით, ურთულესი საქმეა. ეს „დინამოს" თავკაცმა კახა ცხადაძემაც კარგად იცის, თუმც „ბრონდბიუსთან" სტუმრობამდე მაინც იმედიანადაა...*



— ჩემი ნათქვამი ბევრს შესაძლოა გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ, როგორც გუნდის მწვრთნელი, ვამბობ, რომ კოპენჰაგენში მასპინძლებს ძალიან რთული მატჩი ელით და თუ „დინამოს" გაუმართლებს და, რა თქმა უნდა, თამაში თერთმეტი თერთმეტზე იქნება, ჩვენ დადებით შედეგს მივაღწევთ. ჩემი ბიჭების იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, ისინი კოპენჰაგენშიც ძალიან მოინდომებენ.

— კაცი უვიცი, დაუნახავი უნდა იყო, „დინამოს" „ბრონდბიუსთან" გარჯა ცუდად შეაფასო — ჩვენ, ალარაფერს ვამბობ მატჩის საწყის 20 წუთზე, კაცნაკლულებმაც კი არაფერი დავუთმეთ მეტოქეს და ტოლსწორად ვეთამაშეთ. „ბრონდბიუს" „დინამო" მხოლოდ გამოუცდელობით ჩამოუვარდებოდა და სწორედ ეს ფაქტორი გამოდგა გადამწყვეტი. კახა ცხადაძე და მისი თანაშემწეები ფაქტობრივად დაშლილ გუნდში მოვიდნენ და დანგრეულის შენებას ახლა იწყებენ. „დინამო" ივო შუშაკმაააწყო, მაგრამ შემდეგ დაიშალა. ჩვენ საქართველოს ნაკრების ალარც ერთი ფეხბურთელი გუნდში არ დაგვხვედრია, არადა, იქამდე ნაკრების ხუთი წევრი თამაშობდა. ჩვენი მოსვლისას „დინამო" დემორალიზებული, რვა თამაშიდან ხუთში წაგებული იყო. აი, ასეთ გუნდში მოვედით და მგონი, ეს გასათვალისწინებელია. ერთი ხელის მოსმით გუნდს ვერავინ ააშენებს, მით უმეტეს, დაშლილს.

— შესაძლოა, „დინამოს" წარმატება მავანს მართლაც არ სიამოვნებს, მაგრამ ამას კახა ცხადაძეზე ვერავინ იტყვის. მთელი ცხოვრება სწორედ „დინამოსა" და ქართულ ფეხბურთზე ვზრუნავ, სხვაგვარად რომ იყოს, ახლა აქ არ ვიქნებოდი და ცხოვრება კარგა ხნის აწყობილი მექნებოდა.

— „ბრონდბიუ" საკმაოდ კარგი და აწყობილი გუნდია, ფიზიკურად ძალიან ძლიერი. აი, ასეთ გუნდს ათმა დინამოელმა არაფერი დაუთმო, 55 წუთი კაცნაკლულები ვიყავით და არც ერთ ფეხბურთელს კუნთი არ ასტკივებია. ეს იმიტომ, რომ გუნდი სწორად არის მომზადებული და სწორ გზას ვადგავართ.

— მსურს, ქომაგმა იცოდეს და ნურავის ნურაფერი დააეჭვებს — „დინამო" ერთი გუნდია და მწვრთნელსა და დირექტორებს შორის არანაირი დისტანცია არ არის. პირიქით, ჩვენ ერთმანეთთან საქმიანი, იდეალური ურთიერთობა გვაქვს. სწორედ მათ მომიყვანეს „დინამოში", როცა ისინი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ. ჩვენ კლუბისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხს ერთად ვწყვეტთ, ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

— ალეკო ამისულაშვილი კოპენჰაგენში ძალიან დაგვაკლდება, ფიზიკურად ძლიერია და სწორედ მისნაირი ფეხბურთელები გვჭირდება ახმახ დანიელებთან თამაშისას. თუმც ვიმედოვნებ, ამისულაშვილის ღირსეულ შემცვლელს გამოვძებნით და ვიმეორებ, თუ გაგვიმართლა, კოპენჰაგენიდან დადებითი შედეგით დავბრუნდებით. შესაძლოა შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდეთ, მაგრამ მეტოქეს ბოლო წუთამდე მოსვენებას არ მივცემთ და არ ვაფიქრებინებთ, რომ „დინამო" დაამარცხეს.

კობა ინასარიძე

# უეფას თასი 2005-2006

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# გულიანი გოლები და უგულო უგოლობა

ბორისოვი. 28 ივლისი. 21 საათი. საქალაქო სტადიონი. 5 000 მაყურებელი

**ბატე 5:0 ტორპედო (1:0)**

1:0 მოლოში (10), 2:0, 3:0 ლებედევი (21, 37), 4:0, 5:0 დუბნენკო (39, 43)

| ბატე | ტორპედო |
|---|---|
| **ბატე:** ფედოროვიჩი, მოლოში, რადკოვი, ბაგა, გარკუშა, ლიხტაროვიჩი (ბარანოვი 64), ერმაკოვიჩი, კობეცი, სტასევიჩი, რუბნენკო (სკრიპჩენკო 46), ლებედევი (ვიშნიაკოვი 62) *სათადარიგონი:* ჟავნერჩიკი, შმიგერო, ხალეცკი, კრასკო **მწვრთნელი:** იგორ კრიუშენკო | **ტორპედო:** რევიშვილი, ბარაბაძე, ფრანგიშვილი, ჯანჯალია (ხახუნაშვილი 50), ახალაია, შალამბერიძე, ტეხოვი, სოხელია, ზივზივაძე (კოტე კვეტენაძე 61), ხატიაშვილი (კვირიკაშვილი 48), ღონღაძე *სათადარიგონი:* გ. გაბელია **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |

**გაფრთხილება:** რადკოვი (88)

**მსაჯი:** დ. დიმიტროვი (ბულგარეთი)

**უეფას კომისარი:** ა. მინასიანი (სომხეთი);
**უეფას ინსპექტორი:** პ. ბრუმაიერი (ავსტრია)



დმიტრი რუბნენკომ და ალექსანდრ ლებედევმა „ტორპედოს“ წყვილ-წყვილად გაუტანეს

ასეთი ანგარიშით დასრულებულ თამაშზე ვრცლად საუბარი, ალბათ, არ ღირს და ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ: უპირატესობას პირველივე წუთიდან მასპინძლები ფლობდნენ, ხოლო სტუმრები მეტისმეტად უსუსურად გამოიყურებოდნენ, რაც ამგვარი სტატისტიკით შეგვიძლია დავამტკიცოთ — მთელი მატჩის განმავლობაში ტორპედოელებმა, რომელთა საშუალო ასაკი 20 წელი იყო, ბორისოვოელების კარისკენ სულ სამჯერ დაარტყეს და ამ სამი დარტყმიდან სამივე უზუსტო იყო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ პირველად მათ ამას 45-ე წუთზე მოაბეს თავი. რაც შეეხება ბატეს ასეთივე მაჩვენებელს, იგი უფრო შთამბეჭდავი გახლდათ: 22 დარტყმა, აქედან 9 კარში.

ერთადერთი მონაკვეთი, როდესაც „ტორპედო“ გამოფხიზლდა 55-დან მე-60 წუთამდე იყო. ამ პერიოდში ღონღაძე მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ დარტყმა არ მოუხერხდა და წაიქცა. აი, მასპინძლები კი ძალიან ხშირად კარში დარტყმისთვის მოხერხებულ სიტუაციებში კომბინაციების გათამაშებას იწყებდნენ და ამით მომენტებს სიმწვავე ეკარგებოდა.

და მაინც, თუ ქუთაისელთაგან ვინმეს გამოყოფას შევეცდებით, ალბათ, მეკარე რევიშვილი და ზემოხსენებული ღონღაძე უნდა დავასახელოთ.

მატჩის შემდეგ „ტორპედოს“ მწვრთნელმა ***ოთარ გაბელიამ*** განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო თამაში იყო ამ თანამდებობაზე: „ძნელია, რამე თქვა შეხვედრაზე, რომელსაც 0:5-ს აგებ. უკვე პირველი თამაშის მერე ვიცოდი, რომ ბორისოვში კარგი დღე არ გველოდა. ორი კვირის წინანდელი შემადგენლობიდანაც კი ექვსი-შვიდი ფეხბურთელი ვერ წამოვიყვანე და ამიტომ მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ბიჭებს, დღეს მოედანზე რომ იყვნენ.“

***იგორ კრიუშენკო:*** „მართალია, ვიცოდი, რომ ქუთაისის გუნდში სერიოზული პრობლემები იყო, მაგრამ ფეხბურთელებს მაინც მძიმე მატჩისთვის ვამზადებდი. მინდა კატეგორიულად აღვნიშნო, რომ ის, რაც ჩემმა მოთამაშეებმა 5:0-ის მერე გააკეთეს, არაპროფესიონალიზმი იყო. მათ უგულოდ თამაშის არანაირი უფლება არ ჰქონდათ“.

**რუსლან ბატენკოვი**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# ახალი ტორპედო ძველის ნანგრევებზე დაიბადა

## ქუთაისელები ახალი წლიდან ჯეოსელში ჩაერთვებიან

ქუთაისის „ტორპედო“ მკვდრეთით აღდგა. უფრო ზუსტად, „ძველი“ „ტორპედო“ გაუქმდა (გნებავთ, დაიშალა, მოკვდა, გაკოტრდა...) და ახალი შპს „ქუთაისის ტორპედო“ შეიქმნა. ამ ყველაფრის ინიციატორები კი ქუთაისელი ბიზნესმენი გრიგოლ ხურციძე და წარმოშობით ქართველი თურქი იბრაგიმ ართვინი ირიან.

ახალმა „ტორპედომ“ სასამართლოში ოფიციალური რეგისტრაცია გუშინ გაიარა, აქციები კი ასე განაწილდა — 60 პროცენტი ხურციძეს, 40 პროცენტი ართვინს.

გუშინვე თურქი ბიზნესმენის წარმომადგენელს, ვლადიმერ კაკაურიძეს შევეხმიანეთ და მცირე ინტერვიუც ვთხოვეთ...

— ახლაც სასამართლოში ვარ, ყველაფერი გადაწყვეტილია და შპს „ქუთაისის ტორპედო“ ოფიციალურად დარეგისტრირდა. ასე იმიტომ ვჩქარობთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი კარს მოგვადგა და საბუთების ფედერაციაში გაგზავნა უნდა მოვასწროთ.

**— იბრაგიმ ართვინი „ტორპედოს“ აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას აპირებდა და 40 პროცენტიანი წილი აკმაყოფილებს?**

— ეს საერთოდ არაა სადღეისოდ აქტუალური თემა. ჩვენ 40 პროცენტი გვაქვს, გრიგოლ ხურციძეს 60 და ვეცდებით, საქმე გავაკეთოთ. მთავარია, გუნდს ვუშველოთ და პროცენტებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

**— ართვინი როგორ დაინტერესდა „ტორპედოს“ ბედით?**

— იგი ჩემი ოჯახის მეგობარია, სერიოზული ბიზნესმენია; წარმოშობით რაჭველია, გვარად გოგლიძე და თურქეთში გავიცანი. „ტორპედოს“ თაობაზე კი თავად დაგვიკავშირდა და, როგორც ხედავთ, საქმეც მოგვარდა.

— მის წარსულზე კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

— ადრე ბისეკის პრეზიდენტი იყო და ომიანობის დროს საქართველოს ხშირად ეხმარებოდა. ახლა კი სერიოზული კომპანიის მფლობელია.

— „ჯეოსელის“ დაინტერესებაც რეალურია?

— „ჯეოსელის“ პრეზიდენტს უკვე შევხვდით კიდეც, ვილაპარაკეთ და დიდი შანსია, 2006 წლიდან პარტნიორული ხელშეკრულებაც გავაფორმოთ.

აი, ასეთი ვითარებაა დღეს ქუთაისში. ართვინის წარმომადგენლის აზრი გაგაცანით, გრიგოლ ხურციძე კი 31 ივლისს პრესკონფერენციას გამართავს და მაშინ ისაუბრებს კლუბის სამომავლო გეგმებზე.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, ქუთაისი უფეხბურთოდ აღარ დარჩება...

**ძახა შალამბერიძე**



# წერეთელი სოხუმელია

პატრიოტულ-პოლიტიკური პრინციპით უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა სოხუმის „დინამომ“ ერთი ტრანსფერიც განახორციელა — სოხუმელთა ღირსებას საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილი მცველი მამუკა წერეთელიც დაიცავს.

წერეთელი ახლა 26 წლისაა და თავის დროზე რიგის „სკონტოში“ და ვლადიკავკაზის „ალანიაშიც“ უბურთავია, საქართველოში ბოლოს თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, მერე კი ირანს მიაშურა.

წერეთელი სოხუმურ „დინამოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და ტრანსფერი იმანაც გააიოლა, რომ სოხუმელებს 2000 ლარის გადახდა არ მოუწიათ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის განკარგულებით ხომ ქართული კლუბები უცხოეთიდან წამოსული ფეხბურთელის გუნდში აყვანაში ამ თანხას აღარ უხდიან ფედერაციას.

თუმცა, შესაძლოა, წერეთელმა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელიც ხვალ იწყება, ვერ ითამაშოს — ირანის ფეხბურთის ასოციაციიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მისი გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ მოსულა.

**დავით თავართქილაძე**

# ამერი მობრძანდით, დაბრძანდით

ეს ალაგ უსკამებო ტრიბუნა „ამერის“ სტადიონისაა, გლდანში, თუმც 7 აგვისტოსთვის, როცა „ამერი“ პირველ საშინაო საუმაღლესლიგო მატჩს ჩაატარებს, ტრიბუნა ისეთი იქნება, როგორიც უნდა იყოს.

წინა, საპირველლიგო სეზონში, „ამერის“ ტრიბუნა ოდენ 300 მაყურებელს იტევდა და მუდამ სავსე იყო. ეგ კი არა, ყოველი მატჩისას ასამდე გულშემატკივარს ფეხზე მდგომს უხდებოდა მატჩის ცქერა და ამიტომაც გამოცდილები ადრიანად იკავებდნენ ადგილს.

და რაკი პირველ ლიგაში ასე იყო, უმაღლეს ლიგაში მით უფრო მწვავედ დადგებოდა მწირადგილიანობის პრობლემა. ახალი სეზონისთვის ტრიბუნის რეკონსტრუქცია და ტევადობის 1000-მდე გაზრდა, სწორედ ამ პრობლემის მოგვარების გზაა.



**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

ფეხბურთის კლუბი ამერი
დღეს, 29 ივლისს 14 საათზე სასტუმრო „ვარაზში“
გამართავს სეზონისწინა პრესკონფერენციას.

*ფკ ამერის პრესსამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

geo_geo_fan@hotmail.com

# ნუ გადააგდებთ ქართულ ფეხბურთს

*ნოდარ ახალკაცის მიერ საქართველოს ნაკრებიდან ალენ ჟირესის გათავისუფლებამ გვარიანი რეზონანსი გამოიწვია ქომაგებში. ჩვენც ამ რუბრიკით ზედიზედ ორი დღე გთავაზობდით გულშემატკივრების წერილებს და რომ გვეგონა, ეს არის და, თემა ამოიწურაო, ორი ახალი წერილი მივიღეთ. მართალია, მათგან ერთი საკმაოდ მოზრდილია, თუმცა მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად ჩავთვალეთ...*

*გეტყვით იმასაც, რომ ჯერ კიდევ შეგიძლიათ, თემას თქვენც გამოეხმაუროთ...*

**LUKA**: გამარჯობათ, სარბიელელებო! მართალია, არასდროს არ მომიწერია თქვენთვის (არც არავისთვის), მაგრამ მე თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და ყოველთვის ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს თქვენს ამ შედარებით ახალ რუბრიკას. თავიდან მოკლე რეპლიკა მინდოდა მომეწერა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მე, ალბათ ისევე, როგორც ქართულ ფეხბურთზე შეყვარებულ მრავალ ადამიანს, ბევრი რამ დამიგროვდა სათქმელი და წერილიც ცოტა არ იყოს დიდი გამოვიდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა მორიგი შესარჩევი ციკლი ჩააგდო, ამჯერად უკვე ალენ ჟირესის ხელმძღვანელობით, ხშირად გვესმოდა ხმები და აზრები მთავარი მწვრთნელის გადაყენების აუცილებლობაზე. ეს აზრები სხვადასხვა სტატუსისა თუ საფეხბურთო ამბიციების მქონე ხალხისგან მოდიოდა. მათ წარსულში დიდი დამსახურება აქვთ ქართული ფეხბურთის წინაშე როგორც ფეხბურთელებს, ოღონდ სრულიად ხელმოცარულნი არიან როგორც მწვრთნელები. ეს პატივცემული ხალხი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ფეხბურთი რა ხანია შეიცვალა და ეს საქმე თითქმის მეცნიერულ დონეზეა აყვანილი.

მთავარი არგუმენტი ამ ხალხისა არის „ქართული მენტალიტეტის თავისებურებანი". თითქოს მხოლოდ ქართველი მწვრთნელი თუ გაუგებს ქართველ ფეხბურთელებს და მხოლოდ ის, და არავინ სხვა, შეძლებს მოუტანოს წარმატება ნაკრებს (ისე, ნიგერიელებთან, კამერუნელებთან თუ სენეგალელებთან თუ მიაღწიეს წარმატებას ფრანგმა, ჰოლანდიელმა და გერმანელმა მწვრთნელებმა, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება?!). ქართველი გულშემატკივრებისგან ამ ხალხს ერთხელაც დიდი მადლობა ღვაწლისთვის, მაგრამ შევკადრებ და ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებაში.

თუკი ქართველ ლეგიონერებს არ შექმნიათ „მენტალური პრობლემები" იტალიელ, ჰოლანდიელ, გერმანელ და ა.შ. მწვრთნელებთან თავიანთ კლუბებში, რაღა მაინცდამაინც საქართველოს ნაკრებში გაუჭირდებოდათ უცხოელ დამრიგებელთან მუშაობა?! ფაქტი კი ისაა, რომ საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჯერ ბოსკამპის, ახლა კი ჟირესის გადაყენებისა.

მიმაჩნია, რომ თუკი ჟირესს ვუშვებთ, არ არის მიზანშეწონილი, მას თუნდაც მისი კვალიფიკაციის მწვრთნელი ჩავანაცვლოთ, ვინაიდან, სანამ ის ჟირესის გზას გაივლის და გაეცნობა ქართულ ფეხბურთში და მის ირგვლივ არსებულ ვითარებას, კიდევ ერთი წელი გავა და დაიკარგება ძვირფასი დრო, რომლის შეგრძნება, ასე მგონია, არც ერთი თაობის ფეხბურთის ფედერაციას არ ჰქონია.

ფრანგზე უარეს კანდიდატურაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! ამისთანა რაღაცეების ახსნა უკიდურესად გონებრივად შეზღუდულებსაც არ უნდა სჭირდებოდეთ! უნდა მოვიყვანოთ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი, რომელსაც სრულ კარტბლანშს მივცემთ და შევუქმნით იმ სამუშაო პირობებს, რასაც ის მოითხოვს! ამავე დროს ფედერაციამაც უნდა წაუყენოს თავისი მოთხოვნები, მაგალითად, საქართველოში ცხოვრება იქნება ეს თუ სხვა რამ, მაგრამ არამც და არამც 17 თუ 40 წლის ფეხბურთელების სიების მიჩეჩება, არიქა, გინდა თუ არა, ესენი ათამაშეო! ასეთ რამეზე თუ მწვრთნელი დათანხმდება, ის სტადიონზეც კი არ უნდა შეუშვა კაცმა!

ბატონო ნოდარ! როგორც მთელი ამ დავიდარაბიდან გამოჩნდა, ჟირესი 10 000 დოლარს იღებდა ყოველთვიურად და როგორ დავიჯერო, რომ თქვენ არა გაქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ეს ყოველწლიური 120 000 დოლარი მოიპოვოთ იმ თქვენი მეგობარი ყოჩაღი ხელისუფლების დახმარებით, რომლებიც სულ იმას გაიძახოდნენ, ახალკაცს თუ აირჩევენ, ფეხბურთს ჩიტის რძეც არ მოაკლდებაო. ჰოდა, მოსთხოვეთ ახლა დანაპირების შესრულება, თორემ თუ მათ „გადაგაგდეს", გიჯობთ, დროზე გაეცალოთ მანდაურობას, თორემ იმ ავტორიტეტისგან (უმეტესწილად მამათქვენის სახელით რომ შეგექმნათ სამშობლოში) არაფერი დაგრჩებათ!

რაც შეეხება, რეჰაგელისნაირი მწვრთნელი ჯერ ადრეაო, ეს იმას მაგონებს, საქმის კარგად კეთება ადრეაო, ვინმემ თქვას!

შე კაი კაცო, რეჰაგელზე უკეთ ვინ გირჩევს, სანაკრებო საქმეები როგორ მოაწყო? თანაც გერმანულიც იცი და თარჯიმანი არ დაგჭირდება. მაგალითად, ამა წლის 26 მაისს რეჰაგელს შეიძლება ისიც ერჩია, ჩემო ნოდარ, რამდენიმე დღეში ფედერაციის პრეზიდენტად უნდა დაგნიშნონ და თასის ფინალზე ერთ-ერთი გუნდის შარფსა და ქუდში გამოწყობილი ნუ დაამშვენებ ტრიბუნას, არაეთიკურიაო.

მოკლედ, დანიშნავთ ქართველს? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! მე ისევ ვივლი სტადიონზე და ვუყურებ არა მარტო იმას, როგორ ნიავდება იმ ფეხბურთელთა რესურსი, რაც გაგვაჩნია, არამედ იმასაც, როგორ განადგურდება ქართული ფეხბურთის მომავალი — ის 16-18 წლის ფეხბურთელები, რომელთა გამოძახებას და სანაკრებო ბატალიებში „გამოწრთობასაც" თქვენ აპირებთ ახალი მწვრთნელის ხელით. უბრალოდ, მაგ ახალგაზრდების მშობლებსა და მწვრთნელებს ვურჩევდი, არ გაუშვან ისინი „სასაკლაოზე", რადგან, შესაძლოა ყველა არა, მაგრამ უმეტესი მათგანი მსხვერპლი გახდეს იმ ფსიქოლოგიური პრობლემებისა, რაც აუცილებლად მოჰყვება ამ უგუნურ „ექსპერიმენტს". საშიშროებებზე ჟირესმა უკვე დაწვრილებით ილაპარაკა და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, უბრალოდ ორ მაგალითს შეგახსენებთ:

1. 1978 წელს ლუის მენოტიმ მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანა მარადონა. ეს მან იმით ახსნა, რომ შესაძლო იყო, პატარა დიეგო ჩემპიონატის შემდეგ ემოციურად გადამწვარიყო.

2. 1994 წელს პარეირამ წაიყვანა რონალდო, მაგრამ არც ერთი წუთით არ ათამაშა. არადა, თავისუფლად შეეძლო, ჯგუფური ეტაპის მატჩებში მაინც გამოეყვანა. 15 წუთით მისი თამაში რუსეთთან და კამერუნთან თითქოს არაფერს დააშავებდა.

ეს ორი მაგალითი მოვიყვანე გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე ნაკრებთა ისტორიიდან და დამეთანხმებით, იქ გაცილებით ნაკლები რისკი იყო ამ ფეხბურთელთა დაღუპვისა, ვიდრე საქართველოს ნაკრებშია.

მოკლედ, ეს უკვე გაცილებით დიდი პასუხისმგებლობაა ქართული ფეხბურთის წინაშე, ვიდრე მწვრთნელთა ყოვლად უარგუმენტო ცვლა, ვინაიდან, თუკი ეს თაობა ასე განადგურდა, მაშინ ნაღდად ვეღარ გვიშველის ვერც რეჰაგელი და ვერც კაპელო.

დავუბრუნდეთ ჟირესის მოხსნის ფორმას. ახალკაცი ქართულ საზოგადოებას წარუდგინეს როგორც ერუდირებული, მაღალკვალიფიციური იურისტი, რომელმაც კარგად იცის ქართული ფეხბურთის გასაჭირი და რომელსაც ფართო და მყარი კავშირები აქვს ფიფა-უეფაში. მაშინ მას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჟოაო ავილანჟის მიერ ფიფას მმართველობის პერიოდში საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში ჩამოყალიბდა სამი ძირითადი დაჯგუფება.

პირობითად დავარქვათ მათ ლათინური, გერმანული და ბრიტანული. ეს უკანასკნელი დანარჩენ ორთან შედარებით უფრო იზოლაციონისტურ პოლიტიკას ატარებს, ანუ ის არ ცდილობს თავისი გავლენა გააფართოვოს და ასე ვთქვათ, არ ეწევა ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. გასაგებია, რომ ამ არაოფიციალურ გაერთიანებაში ბრიტანეთის სამეფოს ამჟამინდელი და ყოფილი ქვეყნების ფედერაციების უმეტესობა შედის. ეს გაერთიანება უფრო საკუთარი ქვეყნების ინტერესების დაცვითაა დაკავებული და ფეხბურთის საერთაშორისო ფორუმებზე პრინციპულ გადაწყვეტილებებსაც ამის შესაბამისად უჭერს მხარს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მათი აზრი თუ ინტერესები უფრო ხშირად ლათინური ჯგუფისას ემთხვევა.

გერმანული დაჯგუფება წარმოადგენს ძირითადად ევროპულ ქვეყნებს: გერმანულენოვანებს, სკანდინავიურს და ჩრდილო და ცენტრალური ევროპის უმეტეს ქვეყანას. ვინაიდან მათი გავლენა ევროპის გარეთ საკმაოდ მწირია, ისინი ძირითადად ცდილობენ, წამყვან პოზიციებზე იყვნენ კონტინენტზე. მათ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვთ ლათინურ ჯგუფთან, რისი დასტურიცაა ზეპ ბლატერისა (რომელიც, როგორც ავილანჟის მემკვიდრე, ლათინური ჯგუფის ჯილაა) და ლენარტ იუჰანსონის დაპირისპირება ფიფას პრეზიდენტის სავარძლისთვის და რომელიც კვლავაც ლათინური ჯგუფის გამარჯვებით დამთავრდა. „გერმანელთა" პოლიტიკის ძირითად მიზნებად შეიძლება ჩაითვალოს ის გამონათქვამები, რაც ფრანც ბეკენბაუერმა და კარლ-ჰაინც რუმენიგემ გააჟღერეს რამდენიმეჯერ: ისეთ პატარა საფეხბურთო ქვეყნებთან, როგორებიც არიან, მაგალითად, საქართველო და მოლდოვა, მსოფლიო გრანდებს თამაში არ უნდა უწევდეთო და წამოაყენეს იდეა, შექმნილიყო ორი ლიგა, სადაც ქვედა ლიგაში მოთამაშე ნაკრებები უფლებას მოიპოვებდნენ, შესარჩევ ტურნირებში ეთამაშათ გერმანიისდარი გრანდების წინააღმდეგ. ამგვარი იდეა არ მოსწონს უმრავლეს პატარა ქვეყანას და ესაა მიზეზი იმისა, რომ ლათინური ჯგუფი დომინირებს ფიფაში (მოგეხსენებათ, აფრიკასა და აზიაში მრავლადაა საქართველოსა და მოლდოვას მსგავსი ნაკრებები).

ლათინური ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ფეხბურთი დემოკრატიული სპორტია და გუნდების მხოლოდ კომერციული პრინციპებით დახარისხება დაუშვებელია. ახლა ამ ჯგუფმა გადაწყვიტა შეეტია უეფას პრეზიდენტის სავარძლისთვისაც და კანდიდატად წამოაყენა მიშელ პლატინი. რა თქმა უნდა, „გერმანელებიც" შეფუცხუნდნენ და გამოიყვანეს თავიანთი ჯილა, რომელიც სახელითა და ავტორიტეტით არაფრით ჩამოუვარდებოდა სახელგანთქმულ ფრანგს: ფრანც ბეკენბაუერი. აი, ასეთი მწვავე დაპირისპირების დროს ჩვენი პრეზიდენტი, მეტი რომ არ ვთქვათ, პანლურს ურტყამს პლატინის მეგობარ ჟირესს და თან ეუბნება, თანხასაც ვერ მიიღებო. როგორ გგონიათ, ამის მერე როგორ პოზიციებს დაიჭერს ფიფა-უეფაში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ის დაჯგუფება, რომელსაც პლატინი წარმოადგენს და რომელიც დღესდღეობით უძლიერესია მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში? მგონი, პასუხი ნათელია... ამ ათი ათასიანი დოლარისაც დაგვაყაჭინებენ, ყურებსაც კარგად აგვიწევენ და მთელი მსოფლიო დარწმუნდება იმაში, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან სერიოზული საქმის დაჭერ არასერიოზული იქნება გადამგდებებთან თანამშრომლობას ხომ ყველა ერიდება!

ბოლოს ერთი შეკითხვაც იმ ხალხს, ვინც, შეიძლება ითქვას, ძალადობით მოუყვანეს ქართულ საფეხბურთო სამყაროს პირველკაცად ნოდარ ახალკაცი:

ჩვენო გოკა, გუგა და ა.შ. გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას იმის გამო, თუ რა უბედურება შეიძლება დააწიოს თქვენმა პროტეჟემ ისედაც გაპარტახებულ ქართულ ფეხბურთს?

ნებისმიერ შემთხვევაში მაინც იცოდეთ, რომ პასუხი მოგეთხოვებათ იმიტომ, რომ როგორც ახალკაცის პრეზიდენტად დამსმელნი, თქვენ ხართ მთავარი პასუხისმგებელნი ნოდარჩიკას (როგორც მას მოიხსენიებთ) ამ და სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილების გამო!

**LADO SHVELIDZE**: გამარჯობა „სარბიელო". მეგონა ჩვენი საფეხბურთო სამყარო ჯერ ისევ იმ ტალღაზეა ჟორდანიას დროს რომ იყო და თუ ასე გაგრძელდა კაიხანს იტრიალებს გაფუჭებული გრამაფონივით. მე მეგონა, რომ ახალკაცის სათავეში მოსვლით ბევრი კარგი სიახლეების დანერგვა დაიწყებოდა, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს. მისი გადადგმული ყველა ნაბიჯი მცდარად მეჩვენება (გარდა ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის გაზრდისა) და თუ ასე გააგრძელა ცუდად წაგვივა საქმე. ჟირესს არც მე ვთვლიდი სანაკრებო დონის სპეციალისტად და უკეთესი მსურდა, მაგრამ არასწორად მიმაჩნია ნაკრების მთავარი მწვრთნელის კომპეტენციაში ასეთი უხეში ჩარევა და მისი ასეთი ფორმით გაგდება. ბოლოს და ბოლოს, განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე გაგვაჩნია პრეტენზია და პაპუასებივით კი ვიქცევით. ასე კი, ჩვენ (სფფ-ს სოფელს ვერ ავაშენებთ!

geo_geo_fan@hotmail.com

# ქალბატონი დაინომრა

## მუტუს პირველი და იმპროვიზატორი ზლატანი



ადრიან მუტუ „იუვენტუსში“ 18-ნომრიანი მაისურით ითამაშებს

**იტალიის** ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა — ტურინელებმა სერია B-ს ბინადარი „ჩეზენა“ დიდი გაჭირვებით 1:0 დაამარცხეს. გამარჯვების გოლი 88-ე წუთზე ადრიან მუტუმ გაიტანა. ეს რუმინელის პირველი ბურთია „ბებერი ქალბატონის“ მაისურით.

„ეს ძალიან სისამოვნო გამარჯვება იყო დატვირთული ვარჯიშების შემდეგ. ჩვენი რეალური ძალა ვერ ვაჩვენეთ, რადგანაც ბიჭები დამძიმებულები იყვნენ. მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სათანადო ფორმას უფრო უახლოვდებით“ — აღნიშნა „იუვეს“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

გუშინ გაუწყეთ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ბიანკონერის“ წლის საუკეთესო მოთამაშე გახდა და მან კაპელოსადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა. ვალში არც ტურინელთა მთავარი მწვრთნელი დარჩა.

ფაბიო კაპელო: „ზლატანმა იმპროვიზაციის ჩინებული უნარი გამოავლინა. იგი ტექნიკურიც არის და ფიზიკურად ძლიერიც. ეს ჯილდო ძალიან ძვირფასია და მჯერა, იბრაჰიმოვიჩი ახლა კიდევ უფრო უკეთ იბურთავებს“.

ტურინელთა უფროსობამ ყველა მოთამაშეს მომავალი სეზონისთვის ნომერი მოარგო. თუ სექტემბრამდე ვინმე გუნდს დატოვებს, გამორიცხული არ არის, რამდენიმე მათგანი შეიცვალოს.

ამჟამინდელი განაცხადი კი ასე გამოიყურება: *1. ბუფონი, 2. ბირინდელი, 3 კიელინი, 4. ვიეირა, 5. ტუდორი, 6. კოვაჩი, 7. პესოტო, 8. ემერსონი, 9. იბრაჰიმოვიჩი, 10. დელ პიერო, 11. ნედვედი, 12. კიმენტი, 13. მიკოლი, 14. ტაკინარდი, 16. კამორანეზი, 17. ტრეზეგე, 18. მუტუ, 19. ძამბროტა, 20. ბლაზი, 21. ტურამი, 22. ბონეფოი, 23. ჯანიკედა, 24. ოლივერა, 25. ზალაიეტა, 27. ძეინა, 28. კანავარო.*

**გიორგი ქაქაბაძე**

## ამხანაგური მატჩი

**ჩიკაგო ფაიარსი (აშშ) 1:3 მილანი (იტალია)**

0:1 ვიერი (18), 1:1 როლფი (20), 1:2 ჯილარდინო (75), 1:3 სერჟინიო (90)

**მილანი:** ფიორი, სტამი, ნესტა (კოსტაკურტა 46), მალდინი (კალაძე 46), კაფუ (შიმიჩი 46; მარცორატი 51), ფოგელი (გატუზო 65), ამბროზინი, სერჟინიო, რუი კოშტა (ზეედორფი 46), ჯილარდინო (არდემანი 83), ვიერი (პირლო 46)

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**მსაჯი:** მაიკლ კენედი (აშშ)

50 000 მაყურებელი



ალბერტო ჯილარდინომ ამერიკელებთან პირველი მილანური გოლი მიითვალა

# არის ჯილდა, არის გოლი!

**გუშინ** გვიან ღამით იტალიურმა „მილანმა“ ამერიკული ტურნეს მეორე მატჩი გამართა და „ჩიკაგო ფაიარს“ 3:1 სძლია. ამ დღის შედეგა ალბერტო ჯილარდინოს დებიუტი და ახალგაზრდა ფორვარდმაც „როსონერის“ რიგებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

„ამ გოლს ჩემს ოჯახს, ქომაგებს და ყოფილ თანაგუნდელებს ვუძღვნი. ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღე იყო. როდესაც მინდორზე მანუელ რუი კოშტასთან და კრისტიან ვიერისთან ერთად ხარ, ყველაფერი უფრო ადვილი გეჩვენება“ — აღნიშნა ჯილარდინომ.

კარლო ანჩელოტიმ „მილანი“ მინდორზე სამი მცველით გაიყვანა, შეტევაში კი ორი გამოკვეთილი ფორვარდი — ჯილარდინო და ვიერი — გამწესა. თავისი მორიგი გოლი ამ უკანასკნელმაც გაიტანა და მთლიანობაში კარგადაც ითამაშა.

კრისტიან ვიერი: „მე და ჯილამ მშვენიერად ვიმუშავეთ. მეორე ფორვარდთან წყვილში თამაში გაცილებით მარტივია, მითუმეტეს, როდესაც ჩემი პარტნიორი ალბერტოა. იგი მეტ სიჩქარეს მაძლევს. საკუთარი კონდიციებით „ტიმის თასზეც“ კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ახლა უკეთესად ვიბურთავე“.

„ბიჭებმა სამაგოდ კარგად ითამაშეს და სისტემაც გამართლა. ჯილარდინო-ვიერის ტანდემი მშვენივრად გამოიყურებოდა, თანაც თავი ორივემ გამოიჩინა“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

შედგა იოჰან ფოგელის დებიუტიც. შვეიცარიელმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. „როსონერის“ დაუბრუნდა გუნდის კაპიტანი პაოლო მალდინიც, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. ლეგენდარული ფეხბურთელი „მილანის“ თამაშით ასევე კმაყოფილი დარჩა.

„ჩემი აზრით, სამი მცველით თამაში ძალიან სასარგებლო და კარგი ტესტი იყო. ამ შემთხვევაში ნახევარდაცვასთან დისტანცია იცვლება, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი დაიხვეწება. გაამართლა ჯილარდინოსა და ვიერის შეწყვილებამაც. ბობოსთვის უკეთესია, როდესაც გვერდით პარტნიორი ჰყავს“ — თქვა მალდინიმ.

ამასობაში, დასასრულს მიუახლოვდა კაკას არდადეგები და ბრაზილიელიც ნელ-ნელა საფეხბურთო ცხოვრებას უბრუნდება. მას თანაგუნდელები გაამხნევა და ურჩია, დაივიწყონ გასული სეზონი.

„შარშან ყველაფრის მოგება შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა. ფეხბურთი არაპროგნოზირებადი სპორტია და მისი ხიბლიც ამაშია. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო, ძარცხის გაზრება, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა საფინალო სისტემის შემდეგ ნერვიულობას აზრი აღარა აქვს. მე ვიცი, რომ მაქსიმუმი გავიღე და რაიმეს შეცვლა შეუძლებელია. ახლა მხოლოდ მომავალზე ფიქრი გვმართებს“ — თქვა კაკამ.

შემდეგ ბრაზილიელი მომავალ სეზონზე გადაერთო: „დარწმუნებული ვარ, წარმატების მიღწევის კიდევ ბევრი შანსი გვექნება. ჩვენი მიზანი იგივეა — ტიტულების მოგება. მე ყოველთვის ვცდილობ, საკუთარ თამაშში სიახლეები შევიტანო და კლასი ავიმაღლო. მჯერა, ეს ისევ გამომივა და წინ კარგი სეზონი მელის, ისევე როგორც კლუბს. თუმცა რაიმე პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ერთი კი ვიცი — ქომაგებს დაძაბული და სანახაობრივი მატჩები ელით“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გადაწყდა!

## ვალტერ სამუელი ინტერშია

*დიახ, მადრიდის „რეალის“ აწ უკვე ყოფილი უკანახაზელი ვალტერ სამუელი შემდგომი სამი წლის მანძილზე მილანის „ინტერის“ ღირსებას დაიცავს. სატრანსფერო გარიგება, რომელიც რიგი მიზეზების გამო კარგა ხნით გაჭანჭლდა, გუშინ შედგა. მილანელებმა არგენტინელში 17 მილიონი ევრო გადაიხადეს*



„**კლუბებს** შორის შეთანხმება უკვე გვაფორმეთ. ახლა ხელშეკრულების საბოლოო მოგვარებას თავად ფეხბურთელის ხელმოწერაღა აკლია. ვალტერ სამუელი მილანში თავის აგენტთან ერთად ორ-სამ დღეში ჩამოვა და „რეალის“ ყოფილ მცველს „ინტერში“ ოფიციალურად წარადგენენ“ — განუცხადა მედიას პეპინო ტირიმ, ფიფას აგენტმა, რომელმაც ესპანურ-იტალიურ გარიგებაში თავისი წვლილი შეიტანა.

ამრიგად, ვალტერ სამუელი „სან სიროზე“ თავის თანამემამულეს, სანტიაგო სოლარის შეუერთდება. მოგეხსენებათ, სოლარი რამდენიმე კვირის წინ სწორედ „რეალიდან“ გადავიდა „ინტერში“ და კვე საკმაო მოწყლნებაც დაიმსახურა.

**ლადო ხომერიკი**

# ხავიც 2010-მდე

## ბარსაში ლიდერებს უგრძელებენ, უვარგისებს კი არ სწყალობენ

**ხავი ერნანდესი** კიდევ ხუთ წელიწადს ითამაშებს „კამპ ნოუზე“ — გუშინ „ბარსელონას“ ნახევარმცველმა კატალონიურ გრანდთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, 2010 წლის 30 ივნისამდე.

„ჩემი „ბარსაში“ დარჩენა უკვე გადაწყვეტილი იყო. კონტრაქტის განახლებაზე კი კლუბთან სიტყვიერ შეთანხმებას ერთი თვის წინ მივაღწიე. „კამპ ნოუზე“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ“ — ღიმილით განუცხადა ჟურნალისტებს კატალონიელმა.

უკვე 8 სეზონია, რაც ხავი „ბარსელონაში“ თამაშობს და იგი წლეულს პირველი გახლდათ იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც კლუბს 2010 წლამდე კონტრაქტის განახლებაზე შეუთანხმდნენ. მას შემდეგ „ბარსასთან“ ხელშეკრულება სამუელ ეტოომ, დეკომ და ვიქტორ ვალდესმაც გაახანგრძლივეს.

ამასობაში, „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ ხავიერ სავიოლას ბევრჯერ უთხრა, შენი ადგილი გუნდში აღარ არისო, თუმცა „ბაჩა“ არ ნებდება და ჯიუტად ცდილობს, თავკაც ფრანკ რაიკარდს აზრის შეცვლევინოს. ამჟამად იგი კლუბთან ერთად აზიურ ტურნეშია და თავს არ ზოგავს.

„მე კვლავ „ბარსელონას“ წევრი ვარ და წინასასეზონო მზადებას გავდივარ. არავის უთქვამს, რომ ეს ასე არ არის. ჩემი აზრით, თამაშის და შემადგენლობაში დამკვიდრების ისეთივე შანსი მაქვს, როგორც სხვებს. მთავარია, თავი საუკეთესოდ წარმოვაჩინო“ — თქვა ახალგაზრდა არგენტინელმა.

მაგრამ ისიცაა, რომ სავიოლას რეალური მსურველები გამოუჩნდნენ — „ბარსას“ თანაქალაქელი „ესპანიოლი“ და მადრიდის „ატლეტიკო“ მზად არიან, იგი შეიძინონ. თავად ფეხბურთელმა კლუბის უფროსობას სთხოვა, თუ საბოლოოდ გადაწყვიტეთ ჩემი გასხვისება, მაშინ ეს მალე გააკეთეთ და ვითარებაში გამარკვეთო.

ხავიერ სავიოლა: „ფაქტია, რომ რთული ვითარებაა, ჩემთვისაც და კლუბისთვისაც. სწრაფად უნდა გავერკვეთ სიტუაციაში და შეთანხმებას მივაღწიოთ. უკვე რამდენიმე წინადადება მივიღე. „ესპანიოლი“ ძალიან აქტიურობს, ხოლო „ატლეტიკოს“ წარმომადგენლები ჩემს აგენტს უკვე ესაუბრნენ“.

**ლადო ხომერიკი**

# ლუიშ ფიგუ: მათამაშეთ, ან გამიშვით!



**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ მადრიდის „რეალის" მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს მედიასთან კვლავაც უჩივის.

„ჩემი მდგომარეობა კლუბში უცნაურზე უცნაურია. მე ფეხბურთის თამაში მინდა, ლუშემბურგო კი „რეალის" ძირითადში მოხვედრას ვერ მპირდება. თუ ასეა, როგორც კი სხვა გუნდში გადასვლის შანსი მომეცემა, „ბერნაბეუზე" წამითაც აღარ გავჩერდები" — განუცხადა გალიზიანებულმა ფიგუმ იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს.

„რეალის" თავკაცთა მოწყალებაზე ხელჩაქნეულ ფიგუს მადრიდის მიტოვების ორი ჩინებული შესაძლებლობა უკვე აქვს — მისი შეძენით ინგლისური „ლივერპული" და იტალიური „ინტერი" რა ხანია, დაინტერესებულნი არიან.

„მერწმუნეთ, დიდი პატივად ვთვლი, რომ ორი ევროპული გრანდი თავისთან მეპატიჟება. ინგლისში თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, ხოლო „ინტერისა" და მისი სატრანსფერო შემოთავაზების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. „რეალში" კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ სასტარტო თერთმეტეულში მოხვედრას აღმითქვამენ" — ეს არის მისი ულტიმატუმი.

შეგახსენებთ, რომ ლუიშ ფიგუ ამჟამად სამეფო გუნდს აზიურ ტურნეზე თან ახლავს.

**ლადო ხომერიკი**

# გრონკიაერს ეშტუტგარტება

**მადრიდის** „ატლეტიკოს" დანიელი ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი მალე ალბათ ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობით „შტუტგარტში" ითამაშებს. როგორც პოპულარული „ბილდი" გვატყობინეს, მოლაპარაკება კლუბებს შორის უკვე დაიწყო და რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, გრონკიაერი ესპანურ პრიმერას გერმანულ ბუნდესლიგაზე გადაცვლის.

„შტუტგარტმა" „ატლეტიკოს" ამ ფეხბურთელში 5 მილიონი ევრო შესთავაზა, თუმც ათლეტები სკანდინაველის სანაცვლოდ 7 მილიონს ითხოვენ. თავის დროზე გრონკიაერი „ბირმინგემიდან" მადრიდელებმა 3 მილიონ ევროდ იყიდეს და, ცხადია, ახლა მოგების ნახვა უნდათ. თავად დანიელი „შტუტგარტში" გადაბარგების მომხრეა, რადგან „ატლეტიკოში" მარტინ პეტროვისა და მაქსი როდრიგესის მისვლის მერე ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი შეუმცირდა.

„ჩემს ფეხბურთელს „შტუტგარტში" გადასვლა უნდა. ვიცით, რომ ეს საკმაოდ ძლიერი გუნდია" — განაცხადა გუშინ პრესასთან საუბარში ვინჩენცო მორაბიტომ, გრონკიაერის აგენტმა. დონ ტრაპის ახალი კლუბი 2004-05-ის ბუნდესლიგაში მე-5 ადგილზე გავიდა, რამაც „შტუტგარტს" უეფას თასზე ბრძოლის უფლება მისცა. შეგახსენებთ, რომ ტრაპატონის ერთი დანიელი შეგირდი უკვე ჰყავს — „მილანის" ყოფილი მოიერიშე იონ დალ ტომასონი.

**ლადო ხომერიკი**



იესპერ გრონკიაერი

# მილიტომ კვლავაც სარაგოსა აირჩია



გაბრიელ მილიტო

**არგენტინელი** გაბრიელ მილიტო კვლავაც „სარაგოსაში" დარჩება და უახლოესი 5 წლის მანძილზე ისევ „ლა რომარედაზე" ითამაშებს. ნაკრებისა და „სარაგოსას" მცველმა გუშინ არაგონულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა.

„მოხარული ვარ, რომ ისევ „სარაგოსას" ფეხბურთელად ვრჩები. ამ გუნდს ძალიან მივეჩვიე და ზოგადად, ესპანეთშიც თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში" — უთხრა მილიტომ პირინეელ სპორტულ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი უკანახაზელის შეძენით რაფა ბენიტესის „ლივერპული" გახლდათ დაინტერესებული. გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა „სარაგოსას" მილიტოში 12 მილიონი ევრო შეაძლია, მაგრამ არაგონელები ბენიტესის ემისრებს მტკიცედ დაუდგნენ და მილიტო თავისთან დაიტოვეს. მას შემდეგ, რაც გუნდის თავკაცობამ „სარაგოსას" ერთ-ერთი ლიდერი დავიდ ვილა „ვალენსიას" მიჰყიდა, ინჩასთა კიდევ ერთი კერპის დაკარგვა არაგონელთა გეგმებში ნამდვილად აღარ შედიოდა.

მილიტო 2003-04-ის სეზონში „სარაგოსაში" მადრიდის „რეალიდან" მოვიდა — იქ კასტილიელმა ექიმებმა რატომღაც მუხლის სისუსტე დააბრალეს, „ლა რომარედაზე" კი მადრიდელთაგან დაწუნებულმა გაბიმ ადგილობრივ ფანთა გული უმალ მოიგო.

„დარწმუნებული ვარ, 2010 წლამდე ჩემს გუნდთან ერთად ბევრ ჯილდოს მოვიპოვებ" — იმედიანად აცხადებს გაბრიელ მილიტო.

**ლადო ხომერიკი**



ქაჩეს, ქაჩეს, ვერ დაქაჩეს — ებე სანდის „შალკემ" „ვერდერი" დააჩოქა

# შალკე ფინალშია და მილანსაც ეპატიჟება

## გერმანია

### ლიგის თასი ნახევარფინალი

**შალკე 2:1 ვერდერი**

1:0 ბაირამოვიჩი (34), 2:0 სანდი (71), 2:1 ვალდესი (90)

შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, კ. პოულსენი (ვარელა 54), ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, ლინკოლნი (ჰოოგლანდი 85), სანდი, კურანი (ასამოა 58)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

ვერდერი: ვიზე, უმითი, ფარენჰორსტი, პასანენი, კ. შულცი, ბაუმანი (ჰუნტი 79), ფრინგსი, ბოროვსკი (ვრანიეში 46), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 46)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ბაუმანი, მიკუ, უმითი

მსაჯი: ფლაიშერი

56 781 მაყურებელი

**გერმანიის** ლიგის თასის ნახევარფინალში გელზენკირხენის „შალკემ" 2:1 მოუგო ბრემენის „ვერდერს" და ფინალში გავიდა, სადაც „ბაიერნის" მძლეველ „შტუტგარტს" შეხვდება. ფინალი 2 აგვისტოს, ბუნდესლიგის დაწყებამდე სამი დღით ადრე, ლაიპციგში გაიმართება.

ნახევარფინალში ანგარიში ლევან კობიაშვილის თანაგუნდელმა ზლატან ბაირამოვიჩმა გახსნა პირველი ტაიმის დასრულებამდე 11 წუთით ადრე. ბაირამოვიჩმა დიდებულად დაარტყა და ბრემენელ მეკარე ტიმ ვიზეს ახლო კუთხეში შეუგდო. ამ გოლამდე კი „ვერდერს" ჰქონდა ჩინებული მომენტი — ტიმ ბოროვსკიმ როგორღაც მოახერხა და ორი მეტრიდან ააცილა კარს. პირველ ტაიმში ხეირიანი საგოლე შანსი ჰქონდა კევინ კურანისაც.

შესვენების მერე „შალკეს" უპირატესობა თვალში საცემი გახდა, 71-ე წუთზე ებე სანდმა მეორე გაიტანა — ბურთი მეკარესა და მცველს შორის გააძვრინა. ერთადერთი საპასუხო გოლი კი ბრემენელებმა ბოლო წუთზე გაიტანეს.

აქვე ერთ გელზენკირხენულ ამბავზეც ვთქვათ — დიდი შანსია, იქ ჩემპიონთა ლიგის მომგები მილან ბაროში გადავიდეს.

ჩეხის აგენტმა პაველ პაშკამ თქვა, „შალკეს" მენეჯერ რუდი ასაუერს შევხვდი, საუბრის დეტალებს ვერ გავამხელ, თუმცა „შალკე" საინტერესო გუნდიაო.

მოგეხსენებათ, ბაროშმა ვერც ვერ დაიმკვიდრა ადგილი „ლივერპულის" სასტარტო შემადგენლობაში და წასვლაც ამიტომ სურს. მას ინგლისში დარჩენის შანსიც აქვს, სადაც „ასტონ ვილა" და „ვესტ ჰემი" ეპატიჟებიან, მაგრამ „შალკეს" თავისი მიმზიდველობა აქვს — გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ.

„შალკეს" მილან ბაროში „ბეშიქთაშში" გაყიდული ბრაზილიელი აილტონის შემცვლელად უნდა.

**ირაკლი ნინიძე**

## ამხანაგური მატჩები

ტოკიო (იაპონია) 0:4 ბაიერნი (გერმანია)
პრესტონი (ინგლისი) 1:1 უიგანი (ინგლისი)
ბორნმუთი (ინგლისი) 0:3 პორტსმუთი (ინგლისი)
კრისტალ პალასი (ინგლისი) 0:2 ინტერი (იტალია)
იუვენტუსი (იტალია) 1:0 ჩეზენა (იტალია)
უდინეზე (იტალია) 3:1 კარდიფი (უელსი)
კალიარი (იტალია) 2:1 ბოლცანო (იტალია)
ჯენოა (იტალია) 1:1 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
პალერმო (იტალია) 2:0 ლევანტე (ესპანეთი)

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა გადადებული მატჩი

**კტპ 0:2 ინტერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 15 | 10 | 4 | 1 | 28:8 | 34 |
| ჰიკ | 15 | 8 | 7 | 0 | 24:13 | 31 |
| ჰაკა | 14 | 6 | 7 | 1 | 21:8 | 25 |
| ინტერი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | 23 |
| ტამპერე | 12 | 6 | 4 | 2 | 17:10 | 22 |
| კტპ | 16 | 6 | 4 | 6 | 21:22 | 22 |
| ალიანსი | 14 | 4 | 8 | 2 | 16:19 | 20 |
| მარიეჰამნი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:18 | 16 |
| ტურკუ | 13 | 4 | 3 | 6 | 12:15 | 15 |
| ლაჰტი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| როვანიემი | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| კუოპიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16:27 | 14 |
| იარო | 15 | 2 | 5 | 8 | 7:20 | 11 |
| ტპ 47 | 15 | 2 | 2 | 11 | 9:20 | 8 |

## შვედეთი

### ალსვენსკა XV ტური

**იურგორდენი 0:1 ლანდსკრონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 15 | 9 | 3 | 3 | 31:16 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:20 | 27 |
| მალმიო | 15 | 8 | 2 | 5 | 17:14 | 26 |
| ჰეკენი | 15 | 8 | 1 | 6 | 23:16 | 25 |
| კალმარი | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:10 | 23 |
| ჰამარბი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:16 | 22 |
| ელფსბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 22 |
| ჰალმსტადი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:19 | 18 |
| გეფლე | 15 | 5 | 2 | 8 | 12:19 | 17 |
| ლანდსკრონა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:29 | 16 |
| ოორგრიტე | 15 | 4 | 3 | 8 | 19:25 | 15 |
| ასირისკა | 15 | 4 | 1 | 10 | 13:18 | 13 |
| სუნდსვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# სელტიკი გამოდუდელანჟდა

**დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:6 რაპიდი (ავსტრია)**

0:1 ლავარე (2), 0:2 აკაგიუნდუზი (3), 0:3 ჰოფმანი (6), 1:3 მარტინე (9), 1:4, 1:5 აკაგიუნდუზი (16, 64), 1:6 კინასტი (85)

**პარტიზანი (სერბეთი) 1:0 შერიფი (მოლდოვა)**

1:0 ოდიტა (63)

**შერიფი** *(საწყისი შემადგენლობა)* ხუცანი, ტასემბედო, გუმენიუკი, **თარხნიშვილი**, ფლორესკუ, კუჩუკი, დერმე, იონესკუ, ეპურეანუ, კოჩიში, ლაკუსტა

მსაჯი: კშიშტოფ სლუპიკი (პოლონეთი)

50 000 მაყურებელი

**მალმიო (შვედეთი) 3:2 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)**

0:1 ა. ხარაზი (2), 1:1 ოსმანოვსკი (34), 1:2 კოლაუტი (45), 2:2 დ. ანდერსონი (493), 3:2 მატისონი (68)

**პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 5:0 სელტიკი (შოტლანდია)**

1:0 ჰალენარი (43), 2:0 ვაშჩაკი (57), 3:0 ჰალენარი (77), 4:0 მიკულიჩი (79), 5:0 ჰალენარი (90)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია) 1:1 ლოკომოტივი (რუსეთი)**

1:0 ნუჰიჯი (11), 1:1 სიჩოვი (90)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, სენიკოვი, **ასათიანი**, ევსეევი, გურენკო, ხოხლოვი (სამედოვი 61), ფ. ლიმა, მამინოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი, კანიენდა (ლებედენკო 76)

მსაჯი: დუგლას მაკდონალდი (შოტლანდია)

15 000 მაყურებელი

**შელბურნი (ირლანდია) 0:0 სტიაუა (რუმინეთი)**

**ტირანა (ალბანეთი) 0:2 ცსკა (ბულგარეთი)**

0:1 გაი (88), 0:2 გლიგოროვი (90)

**დებრეცენი (უნგრეთი) 3:0 ჰაიდუკი (ხორვატია)**

1:0, 2:0 ბოგდანოვიჩი (26, 38), 3:0 კერეკეში (57)



გორდონ სტრაჩანს თავი არ გამოეყოფა

**ისე იხარეთ,** როგორც გუშინწინ ღამით „გლაზგო რეინჯერსის" ფანებმა გაიხარეს. შოტლანდიის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, „სელტიკის" ახალ მწვრთნელ გორდონ სტრაჩანს ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი არ ღაესიზმრებოდა ის, რაც მის გუნდს დაემართა — 0:5 სლოვაკეთის ჩემპიონთან. „სელტიკმა" რომ მოინდომოს, შინ პეტრჟალკასნაირს ხუთსაც გაუტანს და მეტსაც, მაგრამ უსახელო სლოვაკებთან დიდი ანგარიშით მარცხი მოულოდნელი იყო. მოკლედ ასეა, გორდონ სტრაჩანმა გუნდი მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე რომ ვერ გაიყვანოს, ეგებ სხვა სამუშაოს მოძებნა დასჭირდეს.

ლუქსემბურგის „დუდელანჟმა" სელტიკელებს გული არ დასწყვიტა და შინ „რაპიდთან" ხუთბურთიანი სხვაობით დამარცხდა. „დუდელანჟის" გასვლა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უკვე სასწაულის ტოლფასი გახლდათ და მათთვის ესეც საკმარისია. ავსტრიელებმა თამაშის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში ხუთი გოლი გაუტანეს მასპინძლებს. მათგან სამი აკაგიუნდუზმა მიითვალა, ლავარემ და ჰოფმანმა კი თითო-თითოჯერ იხეირეს. მეორე ტაიმის ბოლოს კინასტმა მეექვსე მიართვა მასპინძლებს, გოლის გემო არ დაავიწყდეთო.

მაკედონიის ჩემპიონმა „რაბოტნიჩკიმ" კარგად იმუშავა და მოსკოვის „ლოკომოტივს" თავი არ დაახაგვრინა. დამხვდურები მეთერთმეტე წუთზე ნუჰიჯიმ დააწინაურა, „ლოკო" კი ამაოდ ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას. მოსკოველებს შეტევაში კარგა ხანს არაფერი გამოსდიოდათ და თამაშის მიწურულსღა გაათანაბრეს.

„დებრეცენის" ფორვარდმა იგორ ბოგდანოვიჩმა კი „ჰაიდუკს" თორმეტწუთიან მონაკვეთში დუბლი შეუსრულა. ორივე გოლი ტყუპებივით მსგავსი გამოვიდა. ბოგდანოვიჩმა ორჯერვე თავით იხეირა და ბურთი ერთსა და იმავე კუთხეში შეაძვრინა. უნგრელებმა ფეხით გატანა იუკადრისეს და ხორვატებს მესამეც თავით გაუტანეს, რომელიც კერეკეშმა მიითვალა.

ჰაიფას „მაკაბი" შვედეთში „მალმიოსთან" ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ მცველთა ბრიყვული შეცდომების გამო მაინც წააგო.

„ძალიან უკმაყოფილო ვარ — თქვა ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელმა რონი ლევიმ — ჩვენ უნდა მოგვეგო, თუმც დაცვაში სამი შეცდომა ძვირად დაგვისვეს. მიუხედავად ამისა, საპასუხო შეხვედრაში ერთბურთიანი სხვაობის გაბათილება, ვფიქრობ, არ გაგვიჭირდება".

ალბანური „ტირანა" სოფიის ცსკა-სთან ბოლო ორ წუთში გაშვებული გოლებით დამარცხდა, ხოლო „პარტიზანს" მოლდოვის ჩემპიონის ძლევა გაუჭირდა — სერბებმა „შერიფი", მეორე ტაიმში, ოდიტას მიერ გატანილი გოლით დაამარცხეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ინტერტოტოს თასი 2005

## IV ეტაპი. I მატჩები

**ჟალგირისი (ლიტვა) 1:2 კლუჟი (რუმინეთი)**

**ვოლფსბურგი (გერმანია) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)**

**სიგმა (ჩეხეთი) 0:1 ჰამბურგი (გერმანია)**

**დეპორტივო (ესპანეთი) 2:1 ნიუკასლი (ინგლისი)**

**ლაციო (იტალია) 1:1 მარსელი (საფრანგეთი)**

**ვალენსია (ესპანეთი) 4:0 როდა (ჰოლანდია)**

# სად იყო კანისარესი?



**ჟორჟე ანდრადეს** ბრწყინვალე გოლით „დეპორტივომ" „ნიუკასლს" მოუგო, პორტუგალიელმა მოედნის ცენტრიდან ათრია ბურთი. ნიუკასლელებმა საჯარიმოს ხაზამდე მიაცილეს და შეი გივენის ნახტომიც ამაო გამოდგა — ანდრადემ დაბალ კუთხეში გაუტანა.

პირველ ტაიმში „ნიუკასლს" ერთი საგოლე მომენტიც არ შეუქმნია: ალან შირერი და ჯეიმს მილნერი ტრიბუნაზე რომ დამსხდარიყვნენ, არაფერი მოხდებოდა, რადგან მათ პასებით ვერ ამარაგებდნენ.

„დეპორტივო" კი თავიდანვე მიაწყდა სტუმართა საჯარიმოს და მეთერთმეტე წუთზე დაწინაურდა. რუბენ კასტრომ ათიოდ მეტრიდან ზუსტად „გაისროლა", მოგვიანებით სერხიოს და ისევ კასტროს შეეძლოთ გატანა, მაგრამ უხეიროდ ითამაშეს. „ნიუკასლი" შესვენების შემდეგ ოდნავ გამოცოცხლდა და უმალვე გაათანაბრა. გოლი კუთხურს მოჰყვა — მცველების მოგერიებულ ბურთს ლი ბოიერი დაუხვდა და მოლინას ისეთი დაურტყა, ცხრა მეკარე ვერ მოიგერიებდა. ამის მერე კი ჟორჟე ანდრადეს გოლი იყო, რომელზეც უკვე ვთქვით.

„ნიუკასლზე" გაცილებით სუსტი მეტოქე ერგო „ვალენსიას" და „როდას" დამარცხება არც გასჭირვებია. მესამე წუთზევე ვისენტეს დარტყმის შემდეგ ბურთმა კარის ძელს რომ ჩაუწუილა, ცხადი გახდა, კერკრადელებს დაცვაში ბზრიალი მოუწევდათ. „ვალენსიამ" ისე მილეწა მეტოქე, რომ „როდას" ფეხბურთელებს სანტიაგო კანისარესი ახლოდან არ ანახა.

ფრანსისკო რუფეტემ პირველი ტაიმის ბოლოს წყვილი გოლი გაიტანა, მეორის დასაწყისში კი მესამე მიაყოლა. შეხვედრის მიწურულს ემილიანო მორეტიმ პატრიკ კლუივერტის პასით მეოთხე შეაგდო და „როდას" რბევა დაასრულა.

ჩეხურმა „სიგმამ" წინა ეტაპზე დორტმუნდის „ბორუსია" გააძევა, მაგრამ „ჰამბურგთან" იინი ალბათ აღარ გამოუვა. ბუნდესლიგელები მთელი მატჩის განმავლობაში სჯობნიდნენ მასპინძლებს და მეტი რომ ვერ გაუტანეს, „სიგმას" მეკარე მარტინ ბლაჰას ბრალია. ბლაჰა ცუდად დარტყმულ ბურთს გაუმკლავდა, მაგრამ „ჰამბურგის" ახალწვეულმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა მაინც დაჩაგრა — ჰოლანდიელმა ლეგიონერმა საჯარიმოს ხაზიდან ეშმაკურად ამოჰკრა ბურთს ფეხი და მეკარის ზურგს უკან, კარში ჩაუშვა.

„მარსელმა" რომში იცოჩაღა და „ლაციოსთან" ფრე გაახერხა. ფრანგული გუნდის ფორვარდმა მამადუ ნიანგმა თავიდანვე დააწიოკა მასპინძელი მცველები, რომლებსაც მხოლოდ უხეშობით შეძლეს ნიანგის შეჩერება. მსაჯმა შესვენებამდე სამი ლაციოელი მცველი გააყვითლა.

ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე პაოლო დი კანიომ ანგარიში გახსნა. მან კარის ხაზიდან ორიოდე მეტრში ბურთი მიიღო და გატანა არ გასჭირვებია.

ფრანგებმა მეორე ნახევარში გულიანად შეუტიეს და გაათანაბრეს. ტაი ტაივუს დარტყმული ბურთი ჯერ მეკარემ მოიგერია, მერე ძელს მოხვდა და გადმოვარდნილს აბდულაიე მეიტემ საგოლედ დაამატა. „ლაციომ" მოსაგებად გაიწია, დი კანიოს ნაცვლად იგლი ტარე შევიდა და ალბანელს არ გაუმართლა — მისი თავურის შემდეგ ბურთმა ძელი შეატოკა.

„სენტ ეტიენის" გამგდებმა, რუმინულმა „კლუჟმა" ლიტვაში „ჟალგირისიც" დაჩაგრა. რუმინელებმა პირველ ეტაპზეც ლოგიკური გუნდი „ვეტრა" შეხვდათ, რომელსაც ორივე მატჩი მოუგეს.

„კლუჟი" პირველი ტაიმის ბოლოს დაწინაურდა — კრისტიან ლაზას საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა. შესვენების მერე კი ალექსანდრ ოსიპოვიჩმა გაათანაბრა. მას ოფსაიდის გამო მანამდე ერთი გოლი არ ჩაუთვალეს.

„ჟალგირისის" სიხარული ხანმოკლე გამოდგა. სტუმრებმა პენალტი მოინაგრეს, რომელიც კრისტიან კოროლანმა შეასრულა. ბურთი მეკარემ მოიგერია, მაგრამ ადრიან ანკემ მიუსწრო და გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საფრანგეთი. პირველი დივიზიონი 2005-2006

# ლიონს უნდა სხვას რა, არ უნდა? დღეს საფრანგეთი იწყებს

## ლიონი

ჟაკ სანტინის აწყობილი გუნდი 2002 წელს პოლ ლე გუენმა ჩაიბარა, რომელიც ამ ზაფხულს „ალავერდს“ ჟერარ ულიესთან გადავიდა. ულიე „ლივერპულიდან“ წასვლის შემდეგ ერთი სეზონი უსაქმოდ იყო, მაგრამ ჟან-მიშელ ოლამ ლე გუენის შემცვლელად მიიჩნია და „ლიონი“ ანდო.

გუშინწინ კი ჟერარ ულიემ პირველი ჯილდოც მოიგო — „ლიონმა“ სუპერთასის მატჩში „ოსერი“ 4:1 მიანგრია. სამი გოლი იონ კარეუმ შეაგდო, ერთი კი ჰატემ ბენ აფრამ. კარეუ „ბეშიქთაშისგან“ შვიდ მილიონ 650 ათას ევროდ იყიდეს და ნორვეგიელმაც თავისი ფასი პირველივე შეხვედრაში გაამართლა. „ოსერთან“ არ უთამაშია მიკაელ ესიენს, რომელიც ცალი ფეხით „ჩელსიშია“.

კარეუს გარდა, „ლიონმა“ „მარსელის“ ნახევარმცველი ბენუა პედრეტი შეიძინა. ჟან-მიშელ ოლას ნიჭიერი გამთამაშებელი 7 მილიონი ევრო დაუჯდა. გაცილებით ნაკლები, 3 მილიონი გადაიხადეს სოშოელ სილვენ მონსოროში. ფაქტობრივად, ჩემპიონმა ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და კიდევ უფრო გაძლიერდა. ჟან-მიშელ ოლას ჩემპიონთა თასი „ესიზმრება“. „ლიონი“ ზედიზედ ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. კლუბის ამბიციური პრეზიდენტი აცხადებს, რომ მის გუნდს მთავარი ევროთასის მოგება შეუძლია და საამისოდ იბრძოლებს.

## მონაკო

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი, გასულ სეზონში „ლიონს“ 16 ქულით ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა. დიდიე დეშანის „მონაკოს“ აშკარად დააკლდა ფერნანდო მორიენტესი. ხავიერ სავიოლამ, ემანუელ ადებაიორმა და ერნესტო ჩევანტონმა კი წინა სეზონი „ჩააგდეს“, ჩევანტონი ტრავმებმა გატანჯა, ხოლო სავიოლამ „მონაკოს“ ქომაგები და მწვრთნელი დატანჯა, რადგან აურაცხელი საგოლე მომენტები გაანიავა. ალბათ ამიტომაცაა, არგენტინელი ფორვარდი „ბარსელონას“ რომ დაუბრუნეს.

დეშანი შაბანი ნონდასაც შეელია და „რომას“ დაუთმო. სამაგიეროდ, „ბარსელონადან“ ხერარდ ლოპესი რვა მილიონ ევროდ შეიძინა, „ბორდოს“ კი კამელ მერიემის სანაცვლოდ ექვსი მილიონი გადაუხადა. გარდა ამისა, ტურინის „იუვენტუსიდან“ ოლივიე კაპო ერთი წლით ითხოვა, ისევე როგორც დორტმუნდის „ბორუსიადან“ მეკარე გიიომ ვარმუზი. კიდევ ორი ფეხბურთელი, ფლორენ მაულიდა და ოლივიე სორლენი მონაკოელებმა „რენიდან“ დაიმატეს. ასეთი შევსების შემდეგ „მონაკოს“ საჩემპიონო პრეტენზია სავსებით რეალურია.

## პსჟ

წინა სეზონი პსჟ-მ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის თავკაცობით და საჩემპიონო ამბიციით დაიწყო, მაგრამ ცუდად დაამთავრა. გუნდი ნელ-ნელა აირია და ჰალილჰოჯიჩს ფეხბურთელები აუჯანყდნენ. კლუბმაც მწვრთნელი შეცვალა — პსჟ ლორან ფურნიეს ჩააბარეს, რომელმაც გუნდი ცხრილის კუდიდან შუაში აიყვანა. ჩემპიონობას ვინლა ჩიოდა, ქომაგებს გაუხარდათ, რომ პსჟ არ გავარდა.



საფრანგეთის ჩემპიონი „ლიონი“ ახალ სეზონსაც რიხით იწყებს, გუშინწინ ქვეყნის სუპერთასი მოიგო

**საფრანგეთის ჩემპიონატი ზედიზედ ხუთჯერ არავის მოუგია. მიჯრით ოთხ-ხუთჯერ გაჩემპიონდნენ „სენტ ეტიენი“ (1967-1970), „მარსელი“ (1990-1992) და „ლიონი“ (2002-2005). 1994-დან 2002 წლამდე პირველი ფრანგული დივიზიონი საინტერესო იყო იმით, რომ ცხრა სეზონის განმავლობაში ჩემპიონები ყოველთვის იცვლებოდნენ, მაგრამ 2002-დან „ლიონმა“ გვირგვინი“ დაიდგა და დათმობას არ აპირებს. რასაკვირველია, კლუბის პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას სურს, რომ მისმა გუნდმა რეკორდი დაამხოს და მიყოლებით მეხუთედ მოიგოს ოქრო. მოკლედ, დღეს საფრანგეთის მორიგი ჩემპიონატი იწყება, პირველი, ცნობილი ევროპული ხუთეულიდან. ფავორიტი კი, რა თქმა უნდა, ისევ „ლიონია“, რომელსაც „მარსელი“, პსჟ და „მონაკო“ პირველობას შეეცილებიან. ამ ოთხი კლუბის ავანჩავანზე ცალ-ცალკე მოგახსენებთ, დანარჩენებს კი ერთ ქვაბში „მოვხარშავთ“.**

წლევანდელ ტრანსფერებს თუ გავითვალისწინებთ, ლორან ფურნიე „ლიონთან“ გაჯიბრებას შეძლებს — პარიზელებმა „ოსერის“ მთავარმეგოლე ბონავენტურე კალუ 8 მილიონ 500 ათას ევროდ შეიძინეს. „მილანიდან“ ვიკაშ დორასო 3 მილიონად და ამავე ფასად „ბრიუგეს“ დავიდ როზენალი წაჰგვარეს. „მეცში“ განათხოვრებული ფორვარდი ბართოლომეო ოგბეჩე დაიბრუნეს. ურუგვაის „პენაროლიდან“ კი კონტრაქტდასრულებული ორი ფეხბურთელი მუქთად დაიმატეს — ნახევარმცველი კლემენტე როდრიგესი და მეგოლე კარლოს ბუენო.







ჟერარ ულიე „ლიონის“ ზედმეტ მეხუთე ჩემპიონობას აპირებს, ლორან ფურნიე და დიდიე დეშანი ცხადია, უარზე იქნებიან

## მარსელი

ფილიპ ტრუსიემ „მარსელი“ გასულ ზამთარს ჟოზე ანიგოსგან ჩაიბარა. მეორე წრის დასაწყისში გუნდი კარგად ათამაშა, მაგრამ სეზონის ბოლოს მწვრთნელი ფანების რისხვას შეეწირა, რადგან „მარსელმა“ უკლო და ზედიზედ რამდენიმე მატჩი ვერ მოიგო. ტრუსიე „მეცის“ ყოფილმა თავკაცმა ჟან ფერნანდესმა შეცვალა და საჩემპიონო ამბიცია „მარსელსაც“ გაუჩნდა.

ამ ზაფხულს გუნდმა შეტევა გააძლიერა — „გალატასარაიდან“ ფრანკ რიბერი დაიმატა, მილანის „ინტერისგან“ კი საბრი ლამუში ითხოვა. „სოშოდან“ უილსონ ორუმა გადაიბირა, ხოლო „სტრასბურს“ მეგოლე მამადუ ნიანგის სანაცვლოდ შვიდი მილიონი ევრო გადაუხადა. „მარსელში“ აღარ ითამაშებს სტივ მარლე, რომელიც „ფულემს“ დაუბრუნდა.

## დანარჩენები

„ოსერში“ ისტორიული ამბავი მოხდა. მხცოვანმა გი რუმ 44-წლიანი სამწვრთნელო კარიერა დაასრულა და გუნდი ჟაკ სანტინის ჩააბარა. სანტინი შარშან შემოდგომაზე „ტოტენჰემს“ წვრთნიდა, მაგრამ პრემიერლიგას ალღო ვერ აუღო და სამშობლოში დაბრუნდა. ბურგუნდიელი კლუბი ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე არ ჩანდა. ორი მთავარი ფეხბურთელი (კალუ და ტაინიო) გაყიდა და არავინ უყიდია. ჟაკ სანტინიმ თქვა, ასეთი გუნდით ჯილდოებისთვის ბრძოლა ძნელი იქნება, ალბათ ლიგაში დარჩენისთვის ზრუნვა მოგვიწევსო.

გასული სეზონის სიურპრიზი, მეორე ადგილზე გასული „ლილი“ კი წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, თუმც სტადიონის მოუწესრიგებლობის გამო, საშინაო მატჩებს ალბათ სხვაგან გამართავს. „ლილმა“ ნახევარმცველი კრისტოფ ლანდრინი პსჟ-ს დაუთმო და საეჭვოა, რომ კვლავ „გაიჯეჯილოს“.

„რენმა“ შეინარჩუნა მთავარმეგოლე ალექსანდრ ფრეი და „ლანსიდან“ ჯონ უტაკაც დაიმატა. რენელებს ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი წყვილი ეყოლებათ. გუნდში დარჩა საგოლე პასების ოსტატი ოლივიე მონტერუბიოც და ეს სამეული რუმინელი ლასლო ბოლონის თავკაცობით ბევრს გააწყობს.

ინტერტოტოს თასიდან გავარდნილმა „სენტ ეტიენმა“ ორი ძლიერი ფეხბურთელი დაიმატა: „ბორდოდან“ პასკალ ფეინდუნო, „კანიდან“ კი სებასტიან მაზური.

ელიტაში დაბრუნებული „ტრუა“ შემტევი ფეხბურთის თამაშით გამოირჩა. ტრუელებმა მეორე დივიზიონში 61 გოლი გაიტანეს. მწვრთნელ ჟან-მარკ ფურლანის კვლავაც ეიმედება დანიელ გიგაქსისა და სებასტიან დალეტისა, რომლებიც გუნდის მთავარმეგოლეები არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შოტლანდია. პრემიერლიგა

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 294 | მოზერუელი-სელტიკი | 8.50 | 4.30 | 1.25 | 2.85 | 1.08 | 1.00 |
| 18:00 | 295 | დანდი-აბერდინი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 18:00 | 296 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 297 | პიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18:00 | 298 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 299 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.75 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 5 | ლევერკუზენი-ქემნიცი | 2.05 | 3.40 | 2.85 | 1.27 | 1.19 | 1.55 |
| 21:30 | 7 | ვერდერი(მ)-ზტ.პაული | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 21:30 | 8 | დიუსელდორფი-ოსნაბრიუკი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 1 | ერფურტი-კიოლნი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 16:00 | 2 | ვუპერტალი-ჯენა | 1.75 | 3.40 | 3.75 | 1.15 | 1.19 | 1.78 |
| 16:00 | 3 | კიკერსი ემდენი-ესენი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 16:00 | 4 | ობერჰაუზენი-კილი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 16:00 | 6 | ლიუბეკი-ვატენშეიდი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 9 | ჰერტა(მ)-მიუნსტერი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |

## ავსტრია. ბუნდესლიგა

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 11 | ავსტრია-რიდი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:30 | 12 | გრაცერი-მატერსბურგი | 1.35 | 4.50 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 21:30 | 13 | ზალცბურგი-რაპიდი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 21:30 | 14 | ტიროლი-ადმირა | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 10 | პაშინგი-შტურმი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

## ავსტრია. I დივიზიონი

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 20 | ავსტრია(მ)-ალტახი | 1.95 | 3.10 | 3.30 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| 21:00 | 22 | ლეობენი-კაფენბერგი | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| 21:00 | 23 | ავსტრია(ლ)-კუფშტაინი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 21:00 | 24 | ლინცერი-შვანენშტადტი | 1.40 | 3.50 | 8.50 | 1.00 | 1.20 | 2.47 |

## შვეიცარია. სუპერლიგა

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 25 | ქსამაქსი-ივერდონი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 21:30 | 27 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 21:30 | 28 | ბაზელი-ციურიხი | 1.50 | 3.60 | 6.30 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| 21:30 | 29 | სტ.გალენი-თუნი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |

## შვეიცარია. ჩელენჯლიგა

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 30 | ბადენი-ვინტერთური | 2.00 | 3.20 | 3.30 | | 1.24 | 1.62 |
| 21:30 | 31 | ვოლენი-ვილი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 33 | ლოკარნო-მეირინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 21:30 | 34 | ლოზანა-ლუცერნი | 1.65 | 3.20 | 4.80 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 21:30 | 35 | კრინსი-კონკორდია | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:30 | 36 | კიასო-ლუგანო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:30 | 37 | იუვენტუსი-შო დე ფონი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | ვადუცი-სიონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:30 | 38 | ბოლმი-ბელინცონა | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 40 | პსჟ-მეცი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 39 | მარსელი-ბორდო | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 22:00 | 41 | ნიცა-ტრუა | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 42 | სოშო-ტულუზი | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 43 | სტ.ეტიენი-აიაჩო | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 22:00 | 44 | სტრასბური-ოსერი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 45 | ნანსი-მონაკო | 3.30 | 2.80 | 2.10 | 1.51 | 1.28 | 1.20 |
| 22:00 | 46 | ნანტი-ლანსი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 47 | ლილი-რენი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 48 | ლე მანი-ლიონი | 4.00 | 2.90 | 1.85 | 1.68 | 1.26 | 1.12 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

**29 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 49 | ამიენი-გრენობლი | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 22:30 | 50 | კრეტეი-კაენი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 22:30 | 51 | შატორუ-ბასტია | 2.55 | 2.80 | 2.70 | 1.33 | 1.31 | 1.37 |
| 22:30 | 52 | ლავალი-ისტრი | 2.70 | 2.80 | 2.55 | 1.37 | 1.31 | 1.33 |
| 22:30 | 53 | მონპელიე-ლე ავრი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 22:30 | 54 | ვალენსიენესი-დიჟონი | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:30 | 55 | კლერმონი-სეტე | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:30 | 56 | რეიმსი-ლორიანი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 22:30 | 57 | ბრესტი-გენიონი | 2.05 | 2.80 | 3.50 | 1.18 | 1.29 | 1.55 |

## რუსეთი

**30 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 58 | ამკარი-სპარტაკი | 4.00 | 3.00 | 1.85 | 1.71 | 1.26 | 1.14 |
| 14:00 | 59 | როსტოვი-სატურნი | 2.55 | 2.80 | 2.95 | 1.33 | 1.36 | 1.43 |
| 14:00 | 60 | ტერეკი-ზენიტი | 3.50 | 2.90 | 2.15 | 1.58 | 1.33 | 1.23 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 61 | რუბინი-მოსკოვი | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 14:00 | 62 | ლოკომოტივი-ცსკა | 2.75 | 2.80 | 2.70 | 1.38 | 1.36 | 1.37 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 64 | ალანია-ტორპედო | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 81 | ლეხი-არკა | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 114 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 115 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| 17:00 | 116 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 17:00 | 117 | ჰორსენსი-ოდენსე | 3.90 | 3.40 | 1.85 | 1.81 | 1.25 | 1.19 |
| 17:00 | 118 | სილკებორგი-სიონდერიისკე | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:30 | 119 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 129 | ლინი-ლილესტრიომი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 135 | ბრანი-ვოლერენგა | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 130 | ჰამარი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 131 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 20:00 | 132 | როზენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1.35 | 4.70 | 7.00 | 1.04 | 1.13 | 2.81 |
| 20:00 | 133 | სტარტი-მოლდე | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 134 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 141 | მალმიო-ელფსბორგი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 142 | ასირისკა-იორგრიტე | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 143 | კალმარი-სუნდსვალი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 144 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 145 | ჰელსინგბორგი-იურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 146 | გიოტებორგი-ჰეკენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 147 | ლიუნგსკილე-გაის | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 148 | ბოდენსი-იორებრო | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 149 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 150 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 153 | ჰიკ-როვანიემი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 154 | ლაჰტი-ჰაკა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 156 | მიუპა-ტურკუ | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 20:00 | 157 | ტამპერე-კუოპიო | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 20:00 | 158 | იარო-მარიეჰამნი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 162 | უოტერფორდი-დერი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 22:45 | 163 | ბოჰემიანი-დუბლინი | 1.65 | 3.20 | 4.60 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 22:45 | 164 | დროგედა-ლონგფორდი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:45 | 165 | სტ.პატრიკსი-კორკი | 4.00 | 3.10 | 1.85 | 1.74 | 1.26 | 1.15 |
| 22:45 | 166 | ბრეი-შემროკი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი(19) ჩრდ ირლანდია** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 322 | საფრანგეთი-ინგლისი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **ტურნირი ამსტერდამში** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 275 | ბოკა ხუნიორსი -პორტუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 23:15 | 276 | აიაქსი-არსენალი | 2.70 | 3.00 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 279 | არბროთი-სტრანრარი | 3.20 | 3.40 | 1.90 | 1.64 | 1.19 | 1.21 |
| 18:00 | 280 | ეარი-სტირლინგი | 2.30 | 3.30 | 2.50 | 1.35 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 281 | ბრეჩინი-კლაიდი | 2.25 | 3.30 | 2.55 | 1.33 | 1.19 | 1.43 |
| 18:00 | 282 | დანდი-ისტ სტირლინგი | 1.05 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 18:00 | 283 | ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური | 2.55 | 3.30 | 2.30 | 1.43 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 284 | სტ.ჯონსტონი-ალოა | 1.40 | 3.90 | 5.80 | 1.03 | 1.12 | 2.33 |
| 18:00 | 285 | სტ.მირენი-ფორფარი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| 18:00 | 286 | როსი-მონტროუზი | 1.45 | 3.90 | 5.20 | 1.05 | 1.13 | 2.22 |
| 18:00 | 287 | ქუინი-ალბიონი | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| 18:00 | 288 | ქუინზ პარკი-ჰამილტონი | 4.20 | 3.80 | 1.60 | 1.99 | 1.15 | 1.12 |
| 18:00 | 289 | რეითი-ელგინი | 1.50 | 3.90 | 4.70 | 1.08 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 290 | მორტონი-გრეტნა | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 291 | პარტიკი-კოუდენბითი | 1.50 | 3.90 | 4.50 | 1.08 | 1.12 | 2.08 |
| 18:00 | 292 | პიტერჰედი-ბერიკი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| | | **ბელგია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 321 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.40 | 3.60 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.37 |




## ფორმულა 1 (უნგრეთი). 30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 250.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 65.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 80.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 300.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 250.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.60 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 65.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 40.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 35.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 20.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 15.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 12.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 7.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 3.50 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 3.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 100.00 |
| 15:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 90.00 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# ხარირმები ფაჩულიას ვერ ელევიან
## ტრევიზო — ატლანტა — მილუოკი



**გუშინ** ტრევიზოში ნბა-ს ცნობილი კემპი გაიხსნა, რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობს — ერთი მოსწავლის, მეორე კი მასწავლებლის რანგში. ისუ-ს 18 წლის გამთამაშებელი გიორგი კაფრინდაშვილი იტალიაში თამაშის დასახვეწად და ცნობილი კალათბურთელებისგან საჭირო ცოდნის მისაღებად წავიდა, ხოლო ზაზა ფაჩულია ტრევიზოში მწვრთნელად მიიწვიეს.

ტრევიზოს კემპი ტრადიციულია და სულ ერთი ფორმატით ტარდება. ახალგაზრდა მოთამაშეებისგან კეთდება გუნდები, რომლებსაც ნბა-ს ევროპელი ვარსკვლავები თავკაცობენ და იმართება მინი-ტურნირი. შარშანწინ ტრევიზოში ნიკა ცქიტიშვილი მწვრთნელობდა, სადაც მისი კოლეგები ანდრეი კირილენკო, პაუ გასოლი, ირჟი ველში, ტონი პარკერი და დირკ ნოვიცკი გახლდნენ.

წლეულს ნბა-დან ექვსი ევროპელია ტრევიზოში მიწვეული და ერთ-ერთი მათგანი ზაზა ფაჩულიაა. ის და რომელიმე ევროპელი მწვრთნელი იმ გუნდს წარუძღვებიან, რომელსაც პირობითად „მილუოკი ბაქსი" ერქმევა ზაზას საპატივცემულოდ.

ზაზა გუშინ ჩავიდა ტრევიზოში და გული ამერიკაში დარჩა, რაკი მისი კონტრაქტის ამბავი თითქმის გადაწყვეტილია და ხელშეკრულების გასაფორმებლად დროში ვერ ჩაეტია.

შეგახსენებთ, რომ ნბა-ში სატრანსფერო ფანჯარა 22 ივლისს უნდა გახსნილიყო, მაგრამ მცირე შეუთანხმებლობის გამო ეს ვადა 28 ივლისამდე გადაიტანეს. ჰოდა, ფაჩულიას ერთი დღე დააკლდა, რათა სასურველ კლუბთან კონტრაქტი გაეფორმებინა და ახლა სანამ ტრევიზოს კემპი არ დასრულებულა, ამერიკაში ვერ ჩავა.

თუმც არის ერთი გარემოება, რის გამოც ზაზას ეგებ არც სწყდება გული. საქმე ისაა, რომ როცა ფაჩულია ახალ კონტრაქტს გააფორმებს, მომდევნო ათი დღე შტატების დატოვების უფლება არ ექნება და აი, რატომ:

სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ფაჩულია იმ კლუბში არ ითამაშებს, რომელთანაც სავარაუდოდ აგვისტოს დასაწყისში გააფორმებს კონტრაქტს. ამ დღეებში მილუოკურ პრესაში კვლავ გამოჩნდა ქართველი ცენტრის ტრანსფერთან დაკავშირებული სტატიები. არადა, ვიცით, რომ ზაზა „ატლანტა ჰოქსთანაა" შეთანხმებული და სწორედ ამ კლუბთან აფორმებს კონტრაქტს. ძაღლის თავიც აქაა დამარხული. „ატლანტა" აიყვანს ფაჩულიას, რომელსაც შემდეგ „მილუოკის" გაუცვლის, ხოლო სანამ გაცვლის პროცედურა არ დასრულდება, მანამდე კალათბურთელი ქვეყანას — ამ შემთხვევაში, ამერიკას — ვერ დატოვებს.

ჩნდება კითხვა: „მილუოკი" ფაჩულიას თავიდანვე რატომ არ აიყვანს? „ხარირმებმა" გასული სეზონის შემდეგ არაერთი ახალი მოთამაშე შეიმატეს, ძველებსაც ახალი, შედარებით ძვირადღირებული კონტრაქტები გაუფორმეს და მორიგი ახალწვეულის შესაძენად ფული არ ჰყოფნით. ფაჩულიას „ატლანტა" დაუდებს ხელშეკრულებას, რომლის საფასურიც დაახლოებით იმხელა იქნება, რამდენიც იმ მოთამაშისა, ვისაც „მილუოკი" ზაზას სანაცვლოდ შეელევა.

თუ ყველაფერი ასე მოხდა, ფაჩულია საქართველოს ნაკრებს, რომელიც 1 აგვისტოს იტალიაში უნდა ჩავიდეს, გარკვეული ხნით გამოაკლდება. ზაზა ტრევიზოდან პირდაპირ ატლანტაში გაფრინდება 1 აგვისტოს და სავარაუდოდ კონტრაქტსაც მალევე გააფორმებს.

**ირაკლი ბერტაია**





# სეზამის ორი გაღება

**სტოკჰოლმში,** მძლეოსანთა სუპერ გრანპრიზე ორი ერთკარატიანი ბრილიანტი გათამაშდა — რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა და კენიელი მორბენალი ისაკ სონგოკი „1912 წლის ოლიმპიურ სტადიონზე" 16 ათასი მაყურებლის წინაშე ძვირფას თვლებს დაეპატრონენ.

ასეთი საინტერესო ამბები გახსნის ცერემონიალიდან დაიწყო: მოედნის შუაში დაჯდა ბრილიანტებით დატვირთული შველმფრენი, რომელმაც შეჯიბრებებით ცხელ, მაგრამ ამინდით გვარიანად ცივ შვედეთის დედაქალაქში ჯამში 80 ათასი დოლარის თვლები ჩაიტანა.

მაინც, რატომ იყო სტოკჰოლმის ის საღამო სპორტსმენთათვის საგანგებოდ ცხელი? ერთი, შველმფრენით ჩამოტანილი მიზეზი უკვე მოგახსენეთ, მეორეს კი, აბა, რა მიხვედრა უნდა — 4 აგვისტოს იქვე, მეზობლად, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ათლეტები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი ქვეყნების ნაკრებთა სიაში მოხვდნენ.

ახლა კი სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ და ბრილიანტის ორ მომპოვებელზე ვთქვათ. დავიწყოთ ელენა ისინბაევათი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ლონდონში ქალთათვის ფენომენალური რეკორდი დაამყარა — 5 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. სტოკჰოლმში ისინბაევამ რეკორდის კიდევ ერთი სანტიმეტრით გაუმჯობესება გადაწყვიტა, მაგრამ... კინაღამ შეძლო.

და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს რეკორდი კლავ არ დამყარებულა, რუსმა სტოკჰოლმის სტადიონის ყველა დროის საუკეთესო შედეგი დაბეჭდა — 4.79 მეტრი.

რაც შეეხება 21 წლის ისააკ სონგოკს, მის სასახელოდ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ წლეულს უკვე ორჯერ მოასწრო უძლიერესი ელიუდ კიპჩოგეს ზურგსუკან ჩამოტოვება და თან 1500-ზე კი არა, 5000 მეტრზე. სტოკჰოლმში კი ახალგაზრდათა შორის 1500 მეტრზე მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ისინბაევას მსგავსად სტადიონის რეკორდი დაამყარა — 7:35.84 და შინ ბრილიანტის საფასური — 10 000 ათასი დოლარი წაიღო.

**ტუტა სიხარულიძე**



# ბორჯომი და მისი შვიდი კონკურენტი

ერთია ამა თუ იმ ქალაქის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი და მეორე ამგვარი სწრაფვის ოფიციალური მხარდაჭერა და დასტური, რასაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები აკეთებენ.

**როგორც** ამას წინათ ვიუწყებოდით, ალმათიმ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, გუშინწინვე ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქის ამგვარ მისწრაფებას მათმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალური სახე მისცა, როცა განაცხადი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გაუგზავნა. როგორც წესი და რიგია, განაცხადს 150 ათასი დოლარიც ახლავს, რაც ოფიციალური გადასახადია.

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილს სხვადასხვა ქვეყნის სხვა ქალაქებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ ამის თაობაზე მათ ოფიციალური განაცხადი არ გაუკეთებიათ. გუშინ კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ამგვარი განაცხადების ვადა ამოიწურა.

ასე რომ, 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის რვა მსურველს კონკურენტი აღარ შეემატება.

მათ შორის, ვინც ამ თამაშების მიღებაზე პრეტენზიას აცხადებენ, არიან: ანესი (საფრანგეთი), ზალცბურგი (ავსტრია), ალმათა (ყაზახეთი), ბორჯომი (საქართველო), პენჩანგი (სამხრეთ კორეა), სოფია (ბულგარეთი), სოჭი (რუსეთი) და ხაკა (ესპანეთი)

ახლა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ ქალაქებს კანდიდატის სტატუსი უნდა მიანიჭოს, მათ შორის გამარჯვებული კი გვატემალაში სოკ-ის 2007 წლის სესიაზე კენჭისყრისას გამოვლინდება.

# თქვენი შანსი

**ინგლისში** დაიწყო ეროვნული ლატარიის გათამაშება, რომლის მიზანი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის 1,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგის მოგროვებაა. როგორც გაზეთი THE SUN იუწყება, მას, ვინც ლატარიის ბილეთში 1 ფუნტს გადაიხდის, 1-დან 2012 ფუნტ სტერლინგის მოსაგებად ხუთიდან ერთი შანსი ეძლევა.

„ეს იქნება ოლიმპიური თამაშებისთვის თქვენი დახმარების შანსი" — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დენის რიჩარდსმა.

# ტაეკვანდოს ორსახოვნება მოზეგრდა

**პეკინის** 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შესაძლოა ტაეკვანდოს მიმდევარი სპორტსმენები გაერთიანებული სტილით წარმოგვიდგნენ.

შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით ტაეკვანდოს ორი საერთაშორისო ფედერაცია არსებობს: WTF და ITF. ამათგან ოლიმპიური ტურნირი WTF-ის წესებით ტარდება. ახლახან ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგთან შეხვედრისას ორივე ფედერაციის მეთაურებმა მოიწონეს იდეა ორი სტილის გაერთიანების თაობაზე.

უახლოეს ხანში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაერთიანებული ტაეკვანდოს წესებს წარმოადგენს.

# ლევან ცაგურია: მინდა, მაკუტიში ქართველი მეტოქეებიც მყავდეს

## მონღოლის წამქცევ ქართველს იაპონიამ ბალიშები დაუშინა



კოკაიმ იოკოძუნა ასასიორიუ ასე დასცა

**იაპონიაში, სუმოს უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში ბოლო დროს ადგილობრივ და მონღოლ დიდკაცთა გვერდით ევროპელებიც გამოჩნდნენ. რამდენიმე მათგანმა სახელიც გაითქვა. ერთ-ერთი ამათგანი ქართველი ლევან ცაგურიაა, იგივე კოკაი ან უბრალოდ „შავი ზღვა". მაკუტის მკვიდრი პირველი ევროპელი სეკიტორი, რომელმაც ახლახან, ნაგოიაში ჩატარებულ დიდ ტურნირზე ნაგოიას ბაშოზე თვით ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა, ასასიორიუ დასცა და მომავალი ბაშოს წინ რეიტინგის საგრძნობლად ამაღლება გაინაღდა. ამასთან კოკაი სპეციალური პრიზითაც დაასაჩუქრეს მებრძოლი სულის გამოვლენისთვის.**

**ქართველი სეკიტორი წყნარი ოკეანის სანაპიროზე ისვენებს და მას გუშინ შევეხმიანეთ. მშობლიური ენის გაგონებაზე ძალიან გაიხარა და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. საუბარი, რაღა თქმა უნდა, ნაგოიას ბაშოთი დაიწყო.**

— ნაგოიას ბაშო სეზონის მეოთხე დიდი ტურნირი იყო და წინა სამთან შედარებით მშვენიერი შედეგი ვაჩვენე. ამით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. აშკარად უკეთეს ფორმაში ვიყავი, რასაც ჯერ კიდევ ბაშოს დაწყებამდე ვგრძნობდი.

**— ესე იგი, ასეთ შედეგს თავიდანვე ელოდი?**

— დაახლოებით ერთი წელიწადი მკლავების ტრავმამ დამტანჯა, ნაგოიური ტურნირის დაწყებამდე კი პირადი ექიმის დახმარებით უკეთესობა ვიგრძენი და საკუთარი ძალებისაც ვირწმუნე.

**— ახლა ჩვეულებრივი რიტმით აგრძელებ ვარჯიშს?**

— მწვრთნელების რჩევით, ბაშოს ჩამთავრების შემდეგ რამდენიმე დღე დასვენება გადავწყვიტე. ახლა წყნარი ოკეანის სანაპიროზე ვარ, პატარა ქალაქ შირანაჰამაში. ტოკიოში ხვალ დავბრუნდები და სექტემბრის ბაშოსთვის მოვემზადები. იგი სწორედ ტოკიოში გაიმართება.

**— ტოკიოს ბაშოს გარდა სეზონის ბოლომდე კიდევ ერთი დიდი ტურნირი მოგიწევს. საქართველოში ჩამოსვლას როდისღა გეგმავ?**

— მეხუთე-მეექვსე ბაშოს შორის თავისუფალი დრო კი გვაქვს, მაგრამ ეს პერიოდი აქედანვე დაგეგმილია. ოქტომბრის ბოლოს სეკიტორები ამერიკაში უნდა ჩავიდეთ და ლას-ვეგასში საჩვენებელი შეხვედრები ჩავატაროთ. ასე რომ, თბილისში ალბათ წლის ბოლომდე ვერ ჩამოვალ.

**— როგორც ვიცით, შენი უმცროსი ძმაც შენს კვალზე დგას. უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში მოსახვედრად რა შანსები აქვს?**

— ჩემი ძმა პროფესიულ სუმოში მომავალი წლიდან შემოდის. ცხადია, ყველაზე დაბალი საფეხურიდან დაიწყებს, მაკუტიში მოსახვედრად კი ხუთი ეტაპის დაძლევა დასჭირდება. რამდენად მალე მოახერხებს, მთლიანად მის მონდომებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

**— ყველა სეკიტორი ფსევდონიმით გამოდის. შენ კოკაის, ანუ შავ ზღვას გეძახიან. შენს ძმას რა ჰქვია?**

— სახელი ჯერ არ დაურქმევიათ. გადაწყვეტილებას იმ კლუბის პრეზიდენტი იღებს, რომელშიც გამოდიხარ. ასე რომ, ვნახოთ, რა სახელს შეურჩევენ. სექტემბერში გაირკვევა.

**— ისევ ნაგოიას ბაშოს მივუბრუნდეთ. ადვილი მისახვედრია, ყველაზე უკეთ იოკოძუნა ასასიორიუს წაქცევა დაგამახსოვრდებოდა...**

— ეს დღე მართლაც საუკეთესო იყო. ძალიან დაძაბული ბრძოლა გამოვიდა. თან თავიდანვე დიდი ინტრიგა ახლდა. მეც და ასასიორიუც იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში ფავორიტებად მივიჩნეოდით. მართალია, მონღოლს უკეთესი შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩემამდე ერთხელ უკვე დამარცხებულიყო და თუ ჩემთანაც წააგებდა, ერთბაშად რამდენიმე მდევარი წამოეწეოდა. პირველივე წამიდან მძლავრი ცუპარებით არენის გვერდით ხაზთან მივიმწყვდიე. ის იყო, გარეთ უნდა გამეგდო, რომ უეცრად დამისხლტა და კონტრშეტევაზე წამოვიდა. გვერდზე გავიწიე და ჩემკენ დავქაჩე. ამ დროს ფეხი არენის მიღმა გადამიცდა, თუმცა იოკოძუნა უკვე ძირს დავარდნილიყო. გვერდითმა მსაჯმა გამარჯვება ასასიორიუს მისცა, თუმცა ქვემოთ მჯდომი ხუთი მსაჯი პირიქით მოიქცა. სასწრაფოდ ვიდეოფირი დაატრიალეს და გამარჯვებულად მე გამომაცხადეს.

**— ამგვარ მოგებას კრიტიკული გამოხმაურებაც ხომ არ მოჰყოლია?**

— არანაირი. პირიქით, მეორე დღეს, საჭიდაოდ რომ ვემზადებოდი, გასახდელში ასასიორიუ მოვიდა და მითხრა, ვიცი, რომ ალალად წავაგეო.

**— იოკოძუნას დამარცხებამ ალბათ შენი პოპულარობა საგრძნობლად გაზარდა.**

— გულშემატკივრები, ცოტა არ იყოს, უცნაურად ფიქრობენ. ყველას უნდა, რომ იოკოძუნა დამარცხდეს. სულ ერთია, ვისთან. როდესაც იგი წავაქციე, 15-ათასკაციანი დარბაზი ფეხზე წამოიდგა და საოცარი ოვაციები მიძღვნა. თან ასეთი ტრადიციაა, როცა იოკოძუნა აგებს, მაყურებლები სიხარულის აღსანიშნავად სკამზე დასაფენ სპეციალურ ბალიშებს არენაზე ისვრიან. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. უზომოდ გახარებულს ბალიშები სულ თავპირში მხვდებოდა, მეორე დღეს კი არენაზე გასულს ტაშით შემეგებნენ.



**— დარბაზში ქართული დროშაც ხომ არ ფრიალებდა?**

— ქართველი მხარდამჭერები მყავს, მაგრამ ნაგოიას ბაშოზე ვერ ჩამოვიდნენ, ხუთჯვრიანი დროშა კი მე თვითონ ყოველთვის გამომაქვს ჭიდაობების დაწყების წინ, მონაწილეთა წარდგენისას.

**— საბოლოოდ იმპერატორის თასი მაინც იოკოძუნამ აწია, თუმცა ბოლო ტურამდე ინერვიულა. მისმა უშუალო კონკურენტმა, ბულგარელმა კოტოოსიუმ გაჩემპიონების შანსი ბოლო შეხვედრაშიღა დაკარგა...**

— კოტოოსიუ ძალიან ნიჭიერი მოჭიდავეა და გადამწყვეტ მომენტში დამარცხება პირველ რიგში უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ბრალია. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა ტვირთი აწვა. იმპერატორის თასამდე ხომ ერთი ნაბიჯიღა აშორებდა. ბაშოს ჩამთავრების შემდეგ მითხრა, საოცრად ვნერვიულობდიო. საერთოდ, ევროპელი სეკიტორების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი გამოუცდელობაა. ამ მხრივ აქაურები ჯერჯერობით საგრძნობლად გვჯობნიან. ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას ეგებ წლებიც დასჭირდეს.

**— შენი აზრით, მომავალ ბაშოებზე იოკოძუნას გარდა ვის ექნება ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი?**

— ბოლო დროს 4-5 ძლიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. მათ შორის იგივე კოტოოსიუს და მონღოლ ხაკუხოს გამოვარჩევ. სხვათა შორის, ხაკუხომაც მშვენივრად დაიწყო ნაგოიას ბაშო, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და ტურნირი ველარ გააგრძელა. ამ ბაშოზე სულ 12 მძიმე ტრავმა იყო. ასეთ რამ ბოლოს 3 წლის წინ მოხდა. პროფესიულ სუმოში კი ტრავმა მართლაც უმძიმესი დარტყმაა სპორტსმენისთვის. ხშირად ტრავმირებული მაკუტიში ჭიდაობის უფლებას ავტომატურად კარგავს, ხაკუხოს კი ალბათ მხოლოდ წოდებას ჩამოართმევენ. სავარაუდოდ, რიგით მაეგაშირად ჩამოაქვეითებენ, რადგან ტრავმამდე მშვენივრად ჭიდაობდა.

**— შენი წოდების საქმე როგორ იქნება. ნაგოიაში დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა იყავი, ტოკიოში როგორ გამოგაცხადებენ?**

— ეს ჯერ არავინ იცის. ფედერაცია ახალ რეიტინგ-სიას სექტემბრის ბაშოს დაწყებამდე ორი კვირით ადრე გამოაქვეყნებს. ჩემი ვარაუდით, მეორე ან მესამე მაეგაშირა გავხდები. ორი შეხვედრით მეტი რომ მომეგო, ეგებ კომუსუბის წოდებაც მოეცათ.

**— ნაგოიაში სპეციალური ჯილდო გადმოგცეს გამორჩეული მებრძოლი ხასიათის გამოვლენისთვის. ამგვარი დაფასების მთავარი მიზეზიც იოკოძუნას დამარცხება იყო?**

— ალბათ მნიშვნელოვანწილად კი, მაგრამ სხვა შეხვედრებიც გაითვალისწინეს. სპეციალისტთა თქმით, ბოლო ტურში ტაკამისაკარისთან რომ წამეგო, მებრძოლი სულისთვის მას დააჯილდოებდნენ.

**— პროფესიული სუმოს გამშუქებელი ვებგვერდები შენს უმთავრეს კოზირად ცუპარებს ასახელებენ და შენ ამის ოსტატადაც მოგიხსენიებენ...**

— ცუპარი, ანუ მოწინააღმდეგის გულ-მკერდის არეში ხელის კვრა თავიდანვე კარგად მეხერხებოდა, მაგრამ ამ კოზირის გამოყენებაში მკლავების ტრავმა მიშლიდა ხელს. ტკივილების შემსუბუქება შედეგებსაც დაეტყო. ახლა მასაჟებს ვიკეთებ და იმედია, პრობლემა მალე საბოლოოდ მოგვარდება.

**— ახლახან საქართველოს ნაკრებმა იაპონიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. ამ ბიჭებს თუ იცნობ?**

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი ძმისგან ვიცი, რომ ძალიან ძლიერები არიან. ამ დონის ტურნირზე მონღოლეთის ნაკრები დაამარცხეს და ეს ფაქტიც ადასტურებს მათ ძალას. სამწუხაროდ, მსოფლიოს პირველობის დღეებში ბაშოსწინა შეკრებას გავდიოდი და ჩვენების საგულშემატკივროდ ჩასვლა ვერ მოვახერხე.

**— პროფესიულ სუმოში უკვე შენი სიტყვა გეთქმის. ხომ არ გიფიქრია ამ ნაკრების წევრების იაპონიაში წაყვანა?**

— რა თქმა უნდა, ვფიქრობ და ერთ-ერთი მათგანის აქაურ კლუბში მოწყობაზე სერიოზულადაც ვმუშაობ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ყველას დახმარება შეუძლებელია. უცხოელების შემოსვლა ბოლო დროს ძალიან შეზღუდეს. თითო კლუბს ერთ უცხოელზე მეტის ყოლა ეკრძალება. სულ 54 კლუბია და მხოლოდ ერთია ისეთი, შემადგენლობაში ლეგიონერი რომ არ ჰყავს. ამ დღეებში მე და ჩემი კლუბის პრეზიდენტი სწორედ იმ კლუბის პრეზიდენტთან უნდა მივიდეთ და პერსპექტიული ქართველის თაობაზე დაველაპარაკოთ. იმედია, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდება. მინდა, მალე მაკუტიში ქართველი მეტოქეებიც მყავდეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გრანტ ჰეკეტი

AFP მონრეალიდან



გრანტ ჰეკეტის ფინიში

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი**

# ამერიკა ჩაიძირა

## ჰეკეტმა ტორპედოს რაკეტა ესროლა

**სწორედ** გუშინ ვაქებდით ამერიკელებს... აუზიდან ლამის ცაში ავტყორცნეთ, აქაოდა, არც ერთ გაცურვას უმედლოდ არ ამთავრებდნენ და დანარჩენ მსოფლიოს ოქროს არ უტოვებენო. თურმე სადა ვცურავდით, მსოფლიო მთლად ამერიკული ჩალით დახურული არ ყოფილა. ოთხშაბათს, 27 ივლისს მათ ისე საცოდავად იცურავეს, მედლების ისე უბარაქო მოსავალი აიღეს, მათ საქებრად კალამი როგორღა მოგვიბრუნდებოდა. არადა, მედლების ოდენობითაც და ხარისხითაც კვლავ და კვლავ გვარიანად ალემატებიან სხვა მოცურავე ქვეყნებს.

თავი დავანებოთ ავსტრალიელსა და რუსს. ნურც პოლონეთ-გერმანია-იაპონიის ფრთახელა შვილებს გამოვეკიდებით, მაგრამ, ჰოი, სირცხვილო! ჩინელმა როგორ უნდა გაასწროს ამერიკელს აუზში და ბრინჯაოს მედალზე მეოცნებეს ესეც აღარ შეარჩინოს? ეგ არაფერი, ერთ-ერთ დისციპლინაში 8 ფინალისტთა შორის ამერიკელი საერთოდ ვერ მოხვდა. მოკლედ, ამერიკული ოქრომჭრელი ლაინერი ამ ოთხშაბათს ლამის „ტიტანიკივით" ჩაიძირა.

იმ მაიკლ ფელპსს როგორ მოსთხოვ ყველაფრის ერთად მოგებას, მაგრამ ისე გამოვიდა, თითქოს მან თანამემამულეები დაალალატაო. ფელპსმა უარი თქვა თავის საყვარელ დისციპლინაში, 200 მეტრ ბატერფლაიში, ბარსელონაში ორი წლის წინ მოპოვებული ტიტული დაეცვა, რაკი იმ დღეს 100 მეტრ თავისუფალის და 200 მეტრ კომპლექსურის ნახევარფინალებში ცურვა არჩია. ჰოდა, სწორედ 200 მეტრ ბატერფლაიში ჭამეს სირცხვილი ამერიკელებმა. ფელპსის თანაგუნდელმა დევის ტერუოტერმა წინ გაუშვა პოლონელი კორჟენიოვსკი, იაპონელი მაცუდა და... ჩინელი ვუ!!!

ამ ჩინელს ბრინჯაო წყალში ხტომაში რომ მოეგო, სასაცილოდ აიგდებდნენ, მაგრამ ცურვაში მისი მედალი ლამის გმირობის ტოლფასია, ისევე, როგორც მისი თანამემამულის, 200 თავისუფალ მეტრზე მოცურავე იუ იანის ბრინჯაო. ამგვარად, ჩინეთმა ოთხი ფინალიდან ორი ბრინჯაო გამოადნო,

AFP მონრეალიდან



მაიკლ ფელპსმა თავისი უარით ამერიკას უეჭველი ოქრო დაუკარგა

ამერიკამ ორი ვერცხლი...

მაგრამ რას გადავეკიდეთ ამ ამერიკელებს, ცუდი დღე ყველას ცხოვრებაში და კარიერაში გამოერევა, ასე რომ, დღის გმირებს მივაპყროთ ყურადღება.

ამერიკელების არ იყოს, ავსტრალიელებსაც არ მოუმკიათ ხვავი, ერთი ოქროთი დაკმაყოფილდნენ, თუმც ეს ოქრო ისეთი გამოდგა, ათ ვერცხლს და ორ ამდენ ბრინჯაოს აჯობებდა. მედლების საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე მდგომმა ავსტრალიამ წინმდგომ რუსეთსაც გადაასწრო, ჩინეთსაც და სწორედ ამერიკის ქვემოთ, საპატიო მეორე საფეხურზე გამაგრდა. ოზთა ცნობილმა სტაიერმა გრანტ ჰეკეტმა აქამდე ორ ფინალში მოასწრო ცურვა და თითო ოქრო-ვერცხლი დაიკიდა კისერზე, მაგრამ მან ძალები 800-მეტრიანი, თავისუფალი სტილით გასაცური დისტანციისთვის შემოინახა და ისე გაუტია, თანამემამულე იან ტორპის კუთვნილებასაც შეეხო — 2001 წელს ფუკუოკას მსოფლიოს პირველობაზე დამყარებულ რეკორდს, რომელიც 7 წუთსა და 39,16 წამს უდრიდა.

ჰეკეტმა თავიდანვე ისე დაიწყო, ოქროს მეტოქეებს კი არა, 88-მილიმეტრიანი ქვემეხებით აღჭურვილ კრეისერებს არ დაუთმობდა. დისტანციის ნახევრის გაცურვის შემდეგ ის უკვე 3 წამს „უგებდა" ტორპის რეკორდს, ცოტა ხანში 5 წამითაც გაექცა ტორპს, თუმც მერე გვარიანი დაღლილობა მოერია და ტემპი დააგდო, შედეგად მხოლოდ ნახევარი წამით გააუმჯობესა რეკორდი, რაც ამ დისტანციისთვის სასწაული დრო ვერ არის, მაგრამ რეკორდი რეკორდია და დისტანციის ახალ მეფესაც ჯეროვანი პატივი მიეგო.

რაკი ამ გაცურვაში ოქროს პატრონი ლამის სტარტამდე გაირკვა, დანარჩენი შვიდეული ვერცხლ-ბრინჯაოსთვის გაისარჯა. მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელი ლარსენ იენსენი, ვინაც, ნამდვილად არ გვიკვირს და, ჩემპიონს ბარე შვიდი წამით ჩამორჩა. ერთი წამის შემდეგ ფინიშთან მესამე მიცურდა რუსი იური პრილუკოვი, რომელსაც აქამდე მონრეალში ერთი ვერცხლის მოგებაც მოესწრო.

ამერიკელებს მეორე ვერცხლი 50 მეტრ ბრასში შეხვდათ, სადაც ყველას გასაკვირად ჩემპიონობა 35 წლის გერმანელმა, ვეტერანთა შორის ვეტერანმა მარკ ვარნეკმა მოიპოვა. ცურვის ისტორიას არ ახსოვს, ვარნეკზე უფრო ბებერი ჩემპიონი. არადა, ის დალოცვილი მთელი ცხოვრება დაცურავს და მსგავსი წარმატებისვის არასდროს მიუღწევია — 2001 წელს ფუკუოკაში მე-5 გახლდათ, ორი წლის შემდეგ ბარსელონაში — მე-4, თანაც გრძელ დისტანციებზე უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა და ამიტომაც გააკვირვა აუზეთი.

ისე კი სათქმელია, რომ ამ გაცურვაში გვარიანად დაბალი დროები დაფიქსირდა და ესეც წაეხმარა გერმანელს. მეორეადგილოსანმა, ამერიკელმა მარკ განგლოფმა გაცილებით უარესად იცურა, ვიდრე ნახევარფინალში და კვალიფიკაციაში. ამის გამო საბაბიც მიეცა ეთქვა — მე რომ არ ჩამეფლავებინა ფინალური გაცურვა, ჩემპიონი ვიქნებოდი, იმ გერმანელს კი არ მოუგია, მე წავაგეო.

საფრანგეთის დელეგაცია მესამე ოქროთი შეამდიდრა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ყველას მჯობნმა გოგონამ, სოლენ ფიჟუმ, ვინაც საჩემპიონო დავაში იტალიელ ფედერიკა პელეგრინის აჯობა. დიდი შანსი იყო, პოდიუმი მთლიანად ევროპელი გოგონებისგან შემდგარიყო, რაც მონრეალში ჯერ არ მომხდარა. მაგრამ შვეიცარიელმა ქოზეფინ ლალაკამ ბარე ერთწამიანი უპირატესობა გაანიავა და ჩინელ იუ იანს წამოწევის უფლება მისცა. საბოლოოდ ორივემ ერთი და იგივე დრო დააფიქსირა — 1 წუთი და 59,08 წამი და რაკი ჩინელს პირადი რეკორდი უკეთესი აქვს, ბრინჯაოც მას დარჩა.

და სად იყვნენ ამერიკელები? ეს სწორედ ის დისციპლინაა, თავში რომ მოგახსენეთ, ფინალში ვერ მოხვდნენ-მეთქი.

**კოტე ყორშია**

### ცურვა

27 ივლისი

**კაცები 800 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) | 7.38,65 |
| 2 ლარსენ იენსენი (აშშ) | 7.45,63 |
| 3 იური პრილუკოვი (რუსეთი) | 7.46,66 |

**50 მ ბრასი**

| | |
|---|---|
| 1 მარკ ვარნეკი (გერმანია) | 27,63 |
| 2 მარკ განგლოფი (აშშ) | 27,71 |
| 3 კოსუკე კატაძიმა (იაპონია) | 27,78 |

**200 მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1 პაველ კორჟენიოვსკი (პოლ.) | 1.55,02 |
| 2 ტაკეში მაცუდა (იაპონია) | 1.55,62 |
| 3 პენ ვუ (ჩინეთი) | 1.56,50 |

**ქალები 200 მ თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1 სოლენ ფიჟუ (საფრანგეთი) | 1.58,60 |
| 2 ფედერიკა პელეგრინი (იტალ.) | 1.58,73 |
| 3 იუ იანი (ჩინეთი) | 1.59,08 |

**მედლების დაფა**

| | ოქრ | ვერ | ბრინ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 8 | 8 | 4 | 20 |
| ავსტრალია | 5 | 5 | 2 | 12 |
| ჩინეთი | 5 | 4 | 5 | 14 |
| რუსეთი | 5 | 2 | 2 | 9 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 4 |
| გერმანია | 2 | 6 | 2 | 10 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| ზიმბაბვე | 1 | 1 | 0 | 2 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 4 | 2 | 6 |
| იტალია | 0 | 3 | 3 | 6 |
| კუბა | 0 | 1 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ბრიტანეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |
| შვედეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

# ვინუსის მომხიბვლელობა


AP სტენფორდიდან

ვინუს უილიამსი

**BANK OF WEST CLASIC**
სტენფორდი. მაგარსაფარი.
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:3 6:2; პატი შნიდერი (3, შვეიცარია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:4 7:5; ნატალი დეში (6, საფრანგეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 3:6 6:3 6:4; ელენა იანკოვიჩი (7, სდჩ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:0 6:3**

**მას შემდეგ,** რაც რომ ამ სამკვირანახევრის წინ თავისი მესამე უიმბლდონობა მოიგო და ოდნავ მოგვიანებით აშშ-ის საფედთასო ნაკრებთან ერთად მოსკოვურ თიხნარზე დამარცხდა, ვინუს უილიამსი სულ გადაფრენა-გადმოფრენაში გახლდათ — ხან სად მედიაკოხტაპრუწობდა და ხანაც სად. პიარამბებში ჩათრეულს კორტისკენ წამლადაც არ გაუხედია და მთელი მისი სასტენფორდო მზადებაც ამიტომ მხოლოდ ორიოდ სამკვირაო ვარჯიშით შემოიფარგლა.

თუმცა საიმისოდ, რათა ნორჩ ჰ ინდუგოგო სანია მირზას გასწორებოდა და მეოთხედფინალისკენ გაევაკა, ესეც საკმარისი გამოდგა.

წლეულს წამოჩიტული ეს 18 წლის ნიბლია ვინუსმა უწინარესად თავისი ბარაქიანი მოწოდებებით დათრგუნა. ასე კარგად თუ ვითამაშებდი, თავადაც არ მეგონაო, ამბობდა მერე.

შეგახსენებთ, რომ უფროსი უილიამსდა ამ ტურნირის ორგზის, 2000 და 2002 წლების ჩემპიონია, შარშანდელ ფინალში კი ლინდსი დევენპორტთან დათმო.

რაკიღა ამქრის პირველოსანი სტენფორდობაზე წლეულსაც გამოდის, მილეთი ერთთავად ამათი „რევანშის" მოლოდინშია. ეგ მით უფრო, რომ ჩოგბურთის ტრფიალთ ჯერაც არ გამონელებიათ ვინუსისა და ლინდსის უდაბაბულესი უიმბლდონური ფინალის ზარხოში. ცხადია, გეხსომებათ, რომ ამ ორსაათიანსა და 45-წუთიან ფიცხელ დავლურში მამა რიჩის ახტაჯანა გოგუცანამ სეფერჩოგნის მფლობელს 4:6 7:6 (7:4) 9:7 აჯობა.

სხვაფრივ — ამერიკულ მაგარსაფარზე რიგიან ბურთაობას განაგრძობს შვეიცარიელი პატი შნიდერი, ვინაც წინა კვირას რომ ცინცინატობაზე იმარჯვა, ახლა სტენფორდულ მეოთხედფინალსაც მიატანა.

**GENERALI OPEN**
კიცბიუელი. თიხნარი.
საპრიზო 625 ათასი €

**მეორე წრე**

**მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) 6:4 7:6 (7:5); მარიანო პუერტა (2, არგენტინა) —** *ირაკლი ლაბაძე (საქართველო)* **6:3 6:4; გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 7:5 6:3; ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) — ოლივერ მარახი (4, ავსტრია) 6:3 6:4; ფელისიანო ლოპესი (5, ესპანეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 7:6 (7:4) 6:4; მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:0 7:5; ნიკოლას მასუ (7, ჩილე) — დანიელ კიოლერერი (ავსტრია) 7:6 (7:5) 7:5; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (8, ბელგია) 7:5 6:3; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 3:6 7:6 (7:4)**

**ირაკლი ლაბაძეს** მეორე წრეში მეტოქედ წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტი, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი მარიანო პუერტა ერგო და, რადგანაც არგენტინელი ახლა საუცხოო ფორმაშია, ჩვენიანმა მისი ძლევა ვერ მოახერხა.

იმარჯვეს სხვა არგენტინელებმაც — მარიანო საბალეტამ მთავარგანთესილი ნიკოლაი დავიდენკო აოტა, შარშანდელმა ფინალისტმა გასტონ გაუდიომ კი გერმანელი ფილიპ კოლშრაიბერი დაიმორჩილა.

**MERCEDES-BENZ CUP**
ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი.
საპრიზო 355 ათასი $

**მეორე წრე**

**დომინიკ ჰრბატი (2, სლოვაკეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 6:2; ქსავიე მალისი (ბელგია) — ტომი ჰაასი (4, გერმანია) 1:6 6:3 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 3:6 6:4 6:2**

**ტომი ჰაასის** იმედებს, შარშან ლოს ანჯელესში ნაშოვნი ტიტული დაენარჩუნებინა, ჩოგანი ბელგიელმა ქსავიე მალისმა დაუსვა.

ალბათ, არ დაგვიწყნიათ, რომ მარჯვენა კოჭის გაწყვეტილი მყესის გამო გერმანელს ამ ტურნირამდე კაი ექვსი კვირა გაუცდა. ბუნებრივია, უვარჯიშებლობამ თავისი ქნა და ჰაასმაც სწორედ ამიტომ წაიფორხილა. თორემ, ერთია და, აქამომდელ ათ დაპირისპირებაში მალისი მას რვაჯერ ეძლია, მეორეა და, ამ უკანასკნელს წლეულს უკვე რვა ტურნირი იყო, ზედიზედ ორი შეხვედრა ვერ მოეგო.

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი.
საპრიზო 319 ათასი €

**მეორე წრე**

**გილერმო კორია (2, არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 3:6 6:2 6:1; ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:0 4:6 7:5; ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სდჩ ) 6:4 6:2**


AP ლოს ანჯელესიდან

ქსავიე მალისი



# მექანიკოსის მექანიკა

**ეკატერინბურგის** ერთ-ერთი ავტოსერვისის მექანიკოსი ოლეგ ფაიზუხანოვს განუზრახავს, გორგოლაჭებიანი ციგურებით საათში 300 კილომეტრის სიჩქარით გაიქროლოს. საამისოდ მას სჭირდება ერთი ავტომობილი და საგანგებო კონსტრუქციით შექმნილი, ტიტანის შენადნობისგან დამზადებული ციგურები.

ფაიზუხანოვს სურს დაამხოს ორი ამერიკელის 17 წლის წინანდელი საგინესო რეკორდი, რომლებმაც საათში 103 კილომეტრი სიჩქარე განავითარეს.

ახალი სარეკორდო შედეგის დასაფიქსირებლად ეკატერინბურგში მოწვეულნი არიან გინესის წიგნის წარმომადგენლები.

# თეთრი სიკვდილი ბელუხზე

**ბელარუსის** სამთო ტურისტულ-სპორტული ჯგუფის ცხრაკაციანი გუნდი 20 ივლისს ალტაის მხარეში ბელუხის მთაზე ზვავში მოხვდა. ხუთი კაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ოთხის ადგილსამყოფელს კი დიდხანს ველარ მიაგნეს. ბოლოს, სამის ცხედარი გუშინწინ აღმოაჩინეს, თუმცა, ზვავის ახალმა ტალღამ ორი გვამი კვლავ ჩამარხა. ამის მერე, ჯგუფის ორი წევრი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

საინტერესოა, რომ ბელარუს მთამსვლელთა გუნდს სამაშველო სამძებრო სამსახურში რეგისტრაცია არ გაუვლია.

# რეკორდები სიკვდილის ველზე

**ამერიკელმა** სკოტ ჯარეკმა გაიმარჯვა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე რთულ სარბენ დისტანციაზე — „ბედუოტერ ულტრამარათონზე", რომლის მარშრუტიც სიკვდილის ველზე გადის.

ჯარეკმა 216-კილომეტრიანი მარშრუტი ერთი დღე-ღამესა და ნახევარ საათში დაფარა, უფრო ზუსტად — 24:36.08-ში.

ძველი რეკორდი ეკუთვნოდა რუსეთის წარმომადგენელ ანატოლი კრუტიკოვს, რომელმაც 2000 წელს სიკვდილის ველი 25:09:05-ში გაირბინა.

ახლანდელ შეჯიბრებაში ქალთა შორის იმარჯვა ამერიკელმა პამელა რიდმა, რომლის შედეგია 30:49.18.

პამელასთვის სიკვდილის ველზე ეს მესამე გამარჯვებაა. პირველად უძლიერესის სახელი მან 2002 წელს მოიპოვა, მეორედ კი 2003-ში. მასვე ეკუთვნის ტრასის ქალთა მსოფლიოს რეკორდი — 27.56:[illegible].



## უეფას თასი 2005-2006
**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

*მტზ-რიპო (ბელარუსი)* 1:2 ფერენცვაროში (უნგრეთი) (2:0)
მიკა (სომხეთი) 0:0 *მაინცი (გერმანია)* (0:4)
ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 *ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)* (0:1)
ხაზარი (აზერბაიჯანი) 1:2 *ნისტრუ (მოლდოვა)* (1:3)
*მიუპა (ფინეთი)* 1:0 ტვმკ (ესტონეთი) (1:1)
*დომჟალე (სლოვენია)* 3:0 დომანანო (სან მარინო) (5:0)
ატლანტასი (ლიტვა) 3:2 *რილი (უელსი)* (1:2)
დაჩია (მოლდოვა) 1:0 *ვადუცი (ლიხტენშტაინი)* (0:2)
ფლორა (ესტონეთი) 0:6 *ესბიერგი (დანია)* (2:1)
*მეტალურგსი (ლატვია)* 3:0 რუნავიკი (ფარერები) (3:0)
პეტანჟი (ლუქსემბურგი) 1:1 *ალიანსი (ფინეთი)* (0:3)
*აპოელი (კვიპროსი)* 4:0 ბირკირკარა (მალტა) (2:0)
*ვიკინგი (ნორვეგია)* 1:0 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) (2:1)
*რაპიდი (რუმინეთი)* 5:0 სანტა ჟულია (ანდორა) (5:0)
*B-36 ტორსჰავნი (ფარერები)* 2:1 ვესტმანაეიარი (ისლანდია) (1:1)
ზეპჩე (ბოსნია) 1:1 *ბაშკიმი (მაკედონია)* (0:3)
*ჟილინა (სლოვაკეთი)* 3:1 ბაკი (აზერბაიჯანი) (0:1)
*ვარდარი (მაკედონია)* 0:0 ელბასანი (ალბანეთი) (1:1)
*შიროკი ბრიეგი (ბოსნია)* 3:0 ტეუტა (ალბანეთი) (1:3)
*კარმარტენი (უელსი)* 5:1 ლონგფორდი (ირლანდია) (0:2)
*კორკ სიტი (ირლანდია)* 0:1 ეკრანასი (ლიტვა) (2:0)
ჰიბერნიანსი (მალტა) 0:3 *ომონია (კვიპროსი)* (0:3)
*კეფლავიკი* (ისლანდია) 2:0 ეტცელა (ლუქსემბურგი) (4:0)

**ფინეთი**
ვეიკაუსლიგა. XVI ტური
ლაჰტი 3:1 ტამპერე

**შვედეთი**
ალსვენსკა. XV ტური
ჰალმსტადი 0:2 გიოტებორგი

# ჯეკი



AFP სტენფორდიდან

ამერიკელ ჩოგბურთელ ქალს, სერენა უილიამსს ხელში ჯეკი უჭირავს, მისი და ვინუსი კი დაბლაა, კორტზე ინდოელ სანია მირზას ეთამაშება. ვფიქრობთ, ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ჯეკის მზერაა. ალბათ, ტექნიკას თუ უფასებს ვინუსს.

# სიდიადე

ბუდაპეშტში, ფერენც პუშკაშის სახელობის სტადიონზე კაცთა კაცები შეყრილან და ბაასობენ. მარცხნივ დიდი ბარსელონელი ტენორი პლასიდო დომინგოა, მარჯვნივ დიდი გერმანელი მეფორმულე, „ფერარის" ლიდერი მიხაელ შუმახერი. რაზე ბაასობენ, ვერ გეტყვით. უფრო მეტი შანსია ჩამოვთვალოთ, რაზე არ ბაასობენ, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა, რადგან მიხაკ-დარიჩინით დაწყებული, ყველაფრის ჩამოთვლა შეიძლება. თავშეყრის მიზანი კი საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩია.




AFP ბუდაპეშტიდან

# ოზი გოგოების ჟივილ-ხივილი

„პარკ ჟან დრაპოზე", მონრეალში, ცურვის მსოფლიო ჩემპიონატში შემავალი წყალბურთი გაიმართა — ავსტრალიამ ჯგუფურ ეტაპზე იტალიას მოუგო 10:9. ფოტოზე ოზი გოგოების ჟრიამულია გადაღებული.




AFP მონრეალიდან

# დანიელ მკბეჩავი

[illegible]ში ჩოგბურთია გახურებული, [illegible] დანიელ კიოლერერი ჩილელ [illegible]ს მასუს შეხვდა, წააგო და სიმწრისგან ჩოგანი ჩაკბიჩა.



AFP კიცბიულიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge